Присутствие в «Окаянных днях» обильного фактического и литературного материала требует полноценного и в идеале всеохватного научного комментария. К сожалению, ни в одном из существующих изданий бунинской книги такого комментария нет. В частности, вне поля зрения комментаторов до сих пор остаются большевистские газеты Москвы и Одессы, которые в избытке цитируются в «Окаянных днях».

NINO BALANCHIVADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustavli Institute of Georgian Literature

Genius of Georgian Character

Grigol Robakidze wrote : “I was mute, reserved and almost melancholic in my childhood”. He believed that the essence of human nature is the same everywhere and expression of their character vary.

To acknowledge and perceive Georgian matter it is important to perceive Georgia in a whole. Supernatural manifestation of character is peculiar for people. Language is the reflection of reality and peoples’ character. Language depicts and reveals the state of soul “word is the body of thoughts”

According to Grigol Robakidze sun cult in Georgia was of paramount importance, he wrote “Sun Age of Georgia”: sun is God and people are children of sun – God’s children. The ancient Georgian vow is the proof of the sun cult. Each person had his own sun cult in Georgia. Peasant always depicts the ripeness of grapes using the expression “sun is in the bunch of grapes”. This attitude is shaped and manifested in language during the existence of Georgian people.

Genius of Georgian character for Grigol Robakidze is divine mercy, thus he wish : “Let the divine bless never fails for you, let it always be sunny around the world”.

ნინო ბალანჩივაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

გენია ქართული ხასიათისა

ჩემი, ჩაკეტილი, მარტოსული, თითქმის მელანქოლიური — ასეთი ვიყავი ბავშვობაშიო, წერდა გრიგოლ რობაქიძე. საბოლოოდ კი სწამდა და სჯეროდა, რომ ადამიანთა არსი ერთია ყველგან და ყოველთვის, ხოლო სახე მათი — ნაირნაირი.

ქართული საქმის გაგება მოითხოვს საქართველოს გაგებას. საქართველოს გაგება მოითხოვს თავის მხრით გაგებას ცნებისა „ხალხი“. ხალხი ცოცხალი არსია ზეპიროვნული ბუნებისა. არსად არ ცხადდება ეს ისე მკაფიოდ, როგორც ენაში ყოველი საგანი თუ მოვლენა ამსახველი სარკეა მეორე საგნისა თუ მოვლენისა. ენა ამზეულებს ამ საიდუმლოს — „სიტყვა ფიქრის სხეულია“.

გრიგოლ რობაქიძე ყველგან და ყველაფერში გენიას ქართული სიტყვის და ხასიათისას ხედავდა. „ჯანი მამიმატის!“ — ეთქვა ერთ ხევსურს რუსთაველის თეატრში „ლამარას“ ნახვის შემდეგ. ასეთი უაღრესი დაფასება არ რგუნებიაო ჩემს „ლამარას“ — ამბობდა გრიგოლ რობაქიძე მოგვიანებით.

ქართველნი გულმავინყნი არიან: გულმავინყნი, რადგან უდარდელნი და უდარდელნი — ვინაიდან მზიური ჯიშისა(გულმავინყობა არც ისე დასაძრახისია...). აქ ნათლად შეიძლება ქართველი კაცის ლალი ბუნების დანახვაც.

„ადამიანის სიყვარული ნიშნავს დაინახო ის ისე, როგორც ღმერთმა ჩაიფიქრა“ — იცოდა რობაქიძემ ეს და ყველას სიყვარულის თვალით უყურებდა, ყველაფერს სიყვარულით ხსნიდა: როცა ბოლშევიკები აზერბაიჯანში შეიჭრნენ, რობაქიძის ცოლი ყაზანში ჩარჩა. გაჭირვებამ და შიმშილმა ბავშვის სიცოცხლე შეინირა. მისი უსაზღვრო ტკივილის გამზიარებელი პაოლო იაშვილი (მართლაც რომ „მზის შვილი“) აღმოჩნდა: დატრიალდა, იშოვა სადღაც ფული, იყიდა სანოვაგე, ტიცვიანთან ერთად მოთაფლა თვით ბოლშევიკი დარაჯები.. არც კი გაჰკვირვებია რობაქიძეს მათი თანადგომა.ამიტომაც ამბობს: რა დაუდგებოდა წინ

პაოლოს „მზის თვალისაგან“ ნაშობ ხიბლს, რომელსაც ტიცციანის ბავშვური მორცხვობით „მყონავი“ შინაგანი ძალა ემატებოდა!

გრიგოლ რობაქიძისათვის ადამიანთა ურთიერთობაში არსებითად თვითონ დახმარება კი არაა გადამწყვეტი, არამედ შინაგანი „აქტი“ დახმარებისა. პაოლოსა და ტიცციანის დახმარებაში ეს „აქტი“ „მზიურია“. ამიტომაც ამ ამბავში დაინახა რობაქიძემ გენია ქართული ხასიათისა.

რობაქიძე მზის კულტის შესახებ საქართველოში სათაურით „მზის ხანა ქართველთა“ წერს: მზე ღმერთია, ხოლო კაცნი მზის შვილები, ანუ ღვთის შვილნი არიან. ქართველთა ამ უძველესი რწმენის გამოხატულებაა უზენაესთან თანაზიარობის გამოხატველი დაფიცება „ჩემმა მზემ“, „შენმა მზემ“. თითქოს ყოველ ადამიანს თავისი საკუთარი მზე ჰქონდეს. ნებისმიერი ქართველი გლეხი კითხვაზე, რა მოსდის ყურძენს სიმნიფეში შესვლისას, მყისვე უპასუხებს: თვალი ჩასულა მტევანშიო. ხოლო თვალში მზე იგულისხმება. საიდან უწყის ეს საიდუმლო? საიდან და ეს ცოდნა მას თავის მშობლიურ ენასთან ერთად ეძლევა, სადაც „მზეს“ და „მზერას“ ერთი და იგივე ფუძე აქვს.

საგულისხმოა სულხან-საბა ორბელიანის განმარტება სიტყვისა: „ღმერთი“: „წვა“ და „ხედავ“. ეს განმარტება მზეზეა თითქოს ზედგამოჭრილი. მზე ინვის არ იფერფლება, ინვის და მზერს: ანათებს. მზისაგან იშვება სხივი და ნივთიერი იღებს „სახეს“ — იმდენად, რამდენად იგი სხივმფენია. მხოლოდ სხივის გამოკრთობით ეზიარების ნივთიერი ღვთიურსა: იქცევა „სახიერ“. არც ერთს ენაში არ იხმარება ზედმესრული „სახიერი“ ღვთის მიმართ ისეთი ღრმა მნიშვნელობით, როგორც სწორედ ქართულში. რაც სახიერია, ის ღვთიურია-ასე ვგონებთ ქართველნიო — აღნიშნავს გრიგოლ რობაქიძე.

მზიური ბუნების მატარებელი არის ღვთისშვილი პირიმზე, რომელიც თავის ბუნებასა და ძლევამოსილებას ღმერთს ინარჩუნებს. ამიტომ სალოცავ-სავედრებელში „ჟამთ-უჟამოთ მოარულ“ ღვთისშვილის სახელად მოიხსენიება. მას ცეცხლის საშუალებით გზის განათებაც შეუძლია: „უჭირავს ცეცხლის მათრახი, გამნათებელი გზისაო“.

გენია ქართული ხასიათისა რობაქიძისათვის ზეციური მადლია. ამიტომაც ნატრობს ხმამაღლა: „ნუ მოგაკლოს მადლი ზეციერმა, მუდამ იყავი: მზიური, მზიანი, მზეოსანი, მზეგრძელ! „წყაროს თვალი“ არ დაიშრიტება“.

DAVID BARBAKADZE

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Peculiarities of Intersection of Individual Experience,
Specificity of the Avant-garde Art and Historical Context on the
Example of Three key Émigrés Avant-garde Artists**

In the thirties of the past century the National Socialists announced modern art as “degenerate art” and officially banned it which caused emigration from Germany the best representatives of Expressionism, Dadaism, Surrealism, Cubism and other trends and their dissemination in the whole world. Such key figures as Hans Arp (1886-1966), Kurt Schwitters (1887-1948) and Raoul Hausmann (1886-1971) also shared the fate of the banned artists. It is noteworthy that these three artists are united by a sort of heresy in relation to the “orthodox” context of the avant-garde itself. For instance, just because of dissociation of himself from the “official”, politically committed line of Dadaism, Schwitters was rejected by the Berlin Dadaists in the twenties. As to Arp, for the rest of his life he was proud that he never betrayed Dadaism in favor of surrealism. These artists never stopped active creative life even in the years of emigration, on the contrary, proceeding from the international character of the avant-garde movement and communication transparency of the avant-garde art, their artistic experiments, organizational activity and theoretical researches became even more intense and versatile. In spite of this, individual experience of their art totally differs from each other and gives an opportunity to trace specific peculiarities of their avant-garde art and important details of interaction of a concrete historical context. Hans Arp was a native of Elsass and for his German and French languages represented native linguistic environment, therefore the poet and sculptor, who emigrated to France in 1940, not only ceased writing the poems in German but he did this on purpose, as a sign of protest against Germans and continued to write only in French. Kurt Schwitters, who emigrated first to Norway (1937) and then to Britain (1940), until his death he never stopped working in experimental poetry which with the richness of its complex formal searches did not yield his creative works of German period. Raoul Hausmann, who lived in Switzerland, Czech and France in the early years of emigration, despite the fact that after the World War II he could return home without problems, preferred to stay in France and there he continued his work in experimental art (including, phonetic poems which was not limited for him with German linguistic experience).

დავით ბარბაქაძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინდივიდუალური გამოცდილების, ავანგარდული ხელოვნების სპეციფიკისა და ისტორიული კონტექსტის ურთიერთგადაკვეთის თავისებურებები სამი ცენტრალური ავანგარდისტი ემიგრანტის მაგალითზე

გასული საუკუნის 30-იან წლებში ნაციონალსოციალისტებმა მოდერნისტული ხელოვნება დეგენერირებულ ხელოვნებად გამოაცხადეს და ოფიციალურად აკრძალეს, რამაც გერმანიიდან ექსპრესიონისტების, დადაისტების, სიურრეალისტების, კუბისტების და სხვა მიმდინარეობათა საუკეთესო წარმომადგენლების ემიგრირება და მთელ მსოფლიოში მათი მიმოფანტვა გამოიწვია. აკრძალულ ხელოვნებათა ბედი გაიზიარეს დადაიზმის ისეთმა საკვანძო ფიგურებმაც, როგორებიც ჰანს არპი (1886-1966), კურტ შვიტტერსი (1887-1948) და რაულ ჰაუსმანი (1886-1971) იყვნენ. აღსანიშნავია, რომ ამ სამ ხელოვანს აერთიანებს ერთგვარი ერეტიკულობა თვით ავანგარდის „ორთოდოქსულ“ კონტექსტთან მიმართებაში. მაგალითად, შვიტტერსი სწორედ დადაიზმის „ოფიციალური“, პოლიტიკურად ანგაჟირებული ხაზიდან დისტანცირების გამო „მოიკვეთეს“ 20-იან წლებში ბერლინელმა დადაისტებმა, არპი კი სიცოცხლის ბოლომდე იმით ამაყობდა, რომ მას არ უღალატია დადაიზმისთვის სიურრეალიზმის სასარგებლოდ. ამ ხელოვანებს არც ემიგრანტულ წლებში შეუწყვეტიათ აქტიური შემოქმედებითი საქმიანობა, პირიქით, ავანგარდისტული მოძრაობის ინტერნაციონალური ხასიათიდან და ავანგარდული ხელოვნების საკომუნიკაციო ღიაობიდან გამომდინარე, კიდევ უფრო გაინტენსიურდა და მრავალფეროვანი გახდა მათი მხატვრული ექსპერიმენტებიც, საორგანიზაციო აქტივობაც და თეორიული კვლევებიც. მიუხედავად ამისა, მათი ხელოვანის ინდივიდუალური გამოცდილება ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდება და შესაძლებლობას გვაძლევს, თვალი მივადევნოთ პიროვნული განვითარების, ავანგარდული ხელოვნების სპეციფიკური თავისებურებებისა და კონკრეტული ისტორიული კონტექსტის ურთიერთშემოქმედების საყურადღებო დეტალებს. ჰანს არპი წარმოშობით ელზასელი იყო და მისთვის გერმანული და ფრანგული ენები მშობლიურ ენობრივ გარემოს წარმოადგენდა, ამიტომ 1940 წელს საფრანგეთში ემიგრირებულმა პოეტმა და მოქანდაკემ არა მხოლოდ გერმანულად ლექსების წერა შეწყვიტა და მხოლოდ ფრანგულად განაგრძო ლექსების წერა,

არამედ ეს გააკეთა გამიზნულად, გერმანელების მიმართ პროტესტის ნიშნად. კურტ შვიტტერსს, რომელიც ჯერ ნორვეგიაში (1937), მერე კი ინგლისში (1940) ემიგრირდა, სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია ექსპერიმენტულ პოეზიაში მუშაობა, რომელიც რთული ფორმალური ძიებების სიმდიდრით არ ჩამოუვარდებოდა მისი გერმანული პერიოდის შემოქმედებას. რაულ ჰაუსმანმა კი, რომელიც ემიგრაციის საწყის წლებში შვეიცარიაში, ჩეხეთსა და საფრანგეთში ცხოვრობდა, მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის მერე შინ დაბრუნება უპრობლემოდ შეეძლო, საფრანგეთში ცხოვრება აირჩია და იქ განაგრძობდა ექსპერიმენტულ ხელოვნებაში მუშაობას (მათ შორის, ხმოვან პოეზიაში, რომელიც მისთვის არ შემოიფარგლებოდა გერმანული ენობრივი გამოცდილებით).

TAMAR BARBAKADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustavli Institute of Georgian Literature

Grigol Robakidze – Versificator

Grigol Robakidze has not yet taken a worthy place in the history of Georgian versification. Due to the inaccessibility of his archive, it is hard to maintain sufficient objectivity when making Grigol Robakidze’s scientific portrait just with the help of letters scattered in periodicals. The number of Grigol Robakidze’s letters devoted to the issues of versification that we have analyzed is over 40 and mostly contains the materials written in the years 1913-1931; 1940-1956.

Grigol Robakidze is one of the first among versifiers who established the word “versification” in Georgian scholarly terminology when he speaks about the literary academy where the study of versification had to be given a due place; for him the care about verse technique was so important that when assessing the creativity of this or that poet, the researcher gave the highest rating to this sphere.

In 1913-1931 G. Robakidze did not develop a unified theory of Georgian versification as it was formulated by Sergi Gorgadze in his book “Georgian Verse” (1930); though, in my view Grigol Robakidze’s works made a great contribution to the background preparation for publication of the first systematic course of Georgian versification – “Georgian Verse”.

Separation of metre and rhythm in the history of Georgian versification is associated with the name of G. Robakidze (newspaper *Sakartvelo*, 1918, №2, 5; 1920, № 82, 84). G. Robakidze was familiar with the viewpoint of A. Belyi and N. Nedobrova on the opposition of metre and rhythm. G. Robakidze shared the notion of metre as a scheme of rhythm.

G. Robakidze's letters (1943) kept in Jaromir Jedlichka's archive finally shed light on G. Robakidze's view on the nature of Georgian versification and its uniqueness: G. Robakidze defined the nature of Georgian verse not as syllabotonic but more inclined to syllabic.

Along with the research into rhythmic nature of Georgian verse, G. Robakidze paid great attention to the problem of rhythm. In G. Robakidze's view necessary condition for the organization of rhythm is its beginning with one and the same stressed vowel. The subject of the writer's special consideration is the relationship of rhythm and stress, exactness and length, morphology and semantics of the rhythm, rhyme and assonance. It is interesting to mention G. Robakidze's observations in relation to A.Chavchavadze, G.Orbeliani, A.Abasheli, "The Blue Horns", I.Grishashvili. G.Robakidze is equally good at general theoretic reasoning on the interrelation of rhyme, rhythm and stress, and he also perfectly manages to do the analysis of Georgian poets' versification rhyme.

In 1918-1920 sharp debate broke out in Georgian periodical over the sonnet: I.Grishashvili, G.Robakidze, T.Tabidze, S.Pashalishvili discussed on the formation of Georgian sonnet. Sonnet metre in Georgian poetry was determined just during this polemics and it was established by G.Robakidze: 5/4/5 (Besikuri 14-syllable). G.Robakidze's research on the nature of Georgian verse has not occupied its proper place in philological science so far. And the need for this is obvious.

თამარ ბარბაქაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

გრიგოლ რობაქიძე — პოეტ-ემიგრანტი და ქართული ლექსის მკვლევარი (XX ს. 40-50-იანი წლები)

ემიგრანტი პოეტის ლექსები გრიგოლ რობაქიძის ახალგამოცემული ხუთტომეულის „ნაწერების“ I წიგნის (1012) მიხედვით შევისწავლეთ. გრიგოლ რობაქიძის პოეზია 40-50-იან წლებში, უმთავრესად, გერმანულ ენაზე იქმნებოდა; ქართულად თარგმნილი ტექსტები თემატურად („მომაკვდავი არწივი“, „მტევანი ჟანა დ'არკისა წილ“, „ბუხართან“, „დაა“, „ჰომნი ორფეოსისადმი“, „მცხეთის ტაძარი“) აგრძელებს გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების ძირითად სათქმელს, მსოფლმხედველობას: ეროვნული ენერჯის, კავკასიური ერთიანობის იდეის, კოსმიურ სამყაროსთან შერწყმის გზით შინაგანი ჩაკეტილობის დამყარება.

ქართულად ემიგრანტმა გრიგოლ რობაქიძემ 1943 წელს დაწერა ლექსი: „ქართველი დედის წერილი ომში გაყვანილ შვილისადმი“. სამშობლოს სამსახური, მისი ნახვის ნატვრა გრ. რობაქიძის ამ თერთმეტმარცვლიან (4/4/43; 4/2/5' 4/3/4), „თეჯნისის“ საზომით დაწერილ ლექსს ვაჟა-ფშაველას „ფშაველი ჯარისკაცის წერილთან“ აკავშირებს. საყურადღებოა ვაჟა-ფშაველას „შაირები“: „თამარ“ და „ხმალი“ გრ.რობაქიძემ თავის ლექსებთან — „ვაჟაური“ და „მინის სჯული“ — ერთად წაუკითხა ბრანდენბურგში, ქართველ ტყვეებს („საუბარი კარდ-ჰუსთან“). „ქართველი დედის წერილი ომში გაყვანილ შვილისადმი“ გრ.რობაქიძეს გართმევის სხვადასხვა სქემით (aabbb, abab, abba, xaxa) გაუმართავს. ამ ლექსის საზომად სასიმღერო რიტმის შერჩევა მრავალფეროვანი რითმით ერთგვარი „ემოციური დამატებაა“ პოეტის ემიგრანტული პოეზიისა (გრ. რობაქიძის წერილი ნოე ჟორდანიასადმი, 1946).

„ომის წლებში ლირიკას დავუბრუნდი: იქ ვპოვებდი სულისკვეთების მოღბილებას. შაირებს გერმანულად ვთხზავდი... ჩემს გერმანულში შენი ენა მეტყველებს, მზიანო კარდუ“, — წერს გრ. რობაქიძე თავის თხზულებაში „საუბარი კარდუსთან“, რომლის ერთი ნაწილი „ქართული შაირი“ ქართული ლექსის ბუნების პრობლემას ეძღვნება. გრიგოლ რობაქიძე, ქართული ვერსიფიკაციის ცნობილი მკვლევარი XX ს. 10-იანი წლებიდან, ემიგრაციაში კვლავ უბრუნდება ეროვნული ლექსის სილაბურობისა და სილაბურტონურობის საკითხის გარკვევას.

გრ. რობაქიძე ემიჯნება თავის ადრინდელ თვალსაზრისს ქართულ ლექსში მახვილის დომინანტური როლის თაობაზე და აცხადებს: „ქართულმა ბგერამ არ იცის „იკტუსი“: მკვეთრი მახვილი. გრ. რობაქიძე იმონმებს კრისტიან ლაჰუსენის აზრს, რომლის მიხედვით ე.წ. „საკრალურ ენებს“ არა აქვთ „იკტუსი“, მათი ლექსწყობა „მაღალი“ და „დაბალი“ ტონით იმართება, როგორც ქართული ლექსის („საუბარი კარდ-ჰუსთან“, 1948, უენევა).

გრ. რობაქიძის აზრით, რუსთველის „დაბალი შაირი“ ანტიკური დაქტილური ჰეგზამეტრის შესატყვისია.

გრ. რობაქიძეს მიაჩნია, რომ ტერმინი „რიტმა“ არ უნდა იყოს საჭირო ქართული ლექსისათვის; უმჯობესი იქნებოდა მის ნაცვლად „ზმა“ დანერგილიყო; „გართიმულის“ ნაცვლად — „გაზმული“.

ჩეხი მეცნიერის იერომირ იედლიჩკასადმი 1943 წლის 24 მაისით დათარიღებული გრ. რობაქიძის წერილის IV-VI პასუხებში გამოთქმულია შეხედულებანი ქართული ლექსის თაობაზე: რუსთაველის ლექსის მეტრს საფუძვლად უდევს ხალხური ლექსის ზომა; რუსთაველამდე კატრენი, სტროფის ფორმა, ქართულ ლექსში არ არსებობდა. ქართულ ლექსს გრ. რობაქიძე არც სილაბურად მიიჩნევს, არც ტონურად.

გრიგოლ რობაქიძის თვალსაზრისით ქართული ლექსწყობის თაობაზე, შეიძლება ითქვას, განისაზღვროს ქართული ენის საკრალურობისა და ლექსში საგალობლების რიტმის პრიმატის აღიარებით. ამის დასტურია გრიგოლ რობაქიძის ერთ-ერთი უკანასკნელი, ქართულ ენაზე დაწერილი ლექსი: „მშობელი მიწის მიმართ“.

ORTSION BARTANA

Israel, Samaria

Ariel University in Samaria

The Relationship between the Representational Signification of Poetic Language, its Referential Language, its Metaphorical System, its Symbolic System, and the Binary System

Four semantic strata discernible in literary language are clearly exemplified in poetry. The first, most open layer, is the referential, which addresses the reality of which the writer is cognizant as he writes and the reader experiences as he reads. This reality is not necessarily the same for both writer and reader. The second is the symbolic level, or the desire to ascribe to poetry a general, multi-valent meaning beyond the reference to a specific set of circumstances (senses). The third is the metaphorical stratum, wherein the the poem is deciphered via signifiers whose sense is determined solely within and for itself. The fourth layer is the most abstract, seeking to discover simple units of meaning embedded in the poem that ground all the significances the reader draws from it.

The development of Western poetry - within which Hebrew poetry holds a fascinating place - in the twentieth century has created a tension between these four strata. “Reality” is becoming increasingly varied due to the poet’s preference of his own reality over that determined by social consensus. The symbolic layer is likewise stretched between language’s need for sources and the exercise of their symbols, and its need for sources as a linguistic source whose own symbolic meaning must be ignored. The meaning attached to the metaphorical level has similarly become more complex in consequence of the fact that the aesthetic rules governing the writing of poetry - which serve the audience in understanding the metaphors - have become so flexible as to virtually disappear. Poetry can thus be composed on a limitless number of levels. The fourth - binary-motif stratum - is, of course, of no assistance in comprehending the poem’s meaning without an understanding of the other layers that form the primary mediator between the poem and the reader.

To illustrate this argument, I shall analyze two poems by two twentieth-century Hebrew national poets - Hayim Nahman Bialik and Nathan Alterman.

TINATIN BIGANISHVILI

Georgia, Zugdidi

Shota Meskhia Zugdidi state teaching university

Mikheil Javakhishvili's „Jakho” and Gr. Robakhidze's „Jugha”

Bolshevism, soviet terror, “new soviet person” breathed of Caen’s soul was an object of interest not only for Georgian but also Russian and European prose (Anthony Burgess - “A Clockwork Orange” ,George Orwell - “Nineteen Eighty-Four” etc.) since the beginning of the XX century including 1970s. Although there were some distinguished writers who represented the form and content of apocalyptic tyranny impersonated in the first half of the XX century with special accuracy.

Jakho of Mikheil Javakhishvili is the generated image of the new soviet person, of Sharikovs and “Shigaliovschin “. Although there is silhouetted allegorical allusion as a prediction (Jakho Jivashvili – Joseb Jugashvili – Ossetian migrant, clumsy, “The bear intruded into the city” – “A wild Caucasian”) about the boundless power of the future tyrant and the dire results of this.

Unlike Javakhishvili presumably sacrificed to this prediction in notorious 1937, Soviet refugee Gr. Robakhidze ,who found a shelter in Fascist German and later in Switzerland, liberated from communist terror and censorship crampoms, deciphered, recognized and explained without allegorical allusion and symbolic-allegoric saying the mystery of the lizard-headed tyranny, thus not only cognized but also precipitated it with demythologizing and mythologists “castration” (comp. “ Killed soul” – allegory of the castrated bull) remythologizing typical for Greek cosmogony. This was the main difference between European alternative literary discourse and the local one, where before overthrowing the idol the nations tortured by the soviet terror had to pass prolonged and painful way.

Therefore Leopold Tsigler sent a letter to Gr. Robakhidze advising him to publish “Georgian Trilogy” of “Killed Soul”, “The snake shirt” and “The Guards of Grail”, because in his opinion Grigol Robakhidze was the only one, who managed to defeat spiritually the revolution i.e. bolshevism and the trilogy would be the proof of this.

Correspondingly we would like to represent difference between the allegorical speech about bolshevism subjected in local literature and alternative European literary discourse.

თინათინ ჰიგანიშვილი

საქართველო, ზუგდიდი

მოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტი

მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყო“ და გრიგოლ რობაქიძის „ჯულა“

ბოლშევიზმი, საბჭოთა ტერორი, კანის სულით მსუნთქავი „ახალი საბჭოთა ადამიანი“, მეოცე საუკუნის დასაწყისიდან სამოცდაათიანი წლების ჩათვლით, იყო არა მარტო ქართული, არამედ რუსული და ევროპული პროზის (ენტონი ბერჯესის „მექანიკური ფორთოხალი“, ჯორჯ ორუელის „1984“ და ა.შ.) ინტერესის საგანი, თუმცა ამ პროცესში გამოირჩეოდნენ მწერლები, რომლებმაც განსაკუთრებული სიზუსტით ასახეს XX საუკუნის პირველ ნახევარში განსხეულებული აპოკალიპტური ტირანის ფორმაც და შინაარსიც.

მიხეილ ჯავახიშვილის ჯაყო ბოლშევიზმისა და „ახალი საბჭოთა ადამიანის“, შარიკოვებისა და „შიგალიოვშინის“ გენერალიზებული სახეა, თუმცა მასში მანაც იკვეთება ქარაგმული მინიშნება, როგორც წინასწარმეტყველება (ჯაყო ჯივაშვილი — იოსებ ჯულაშვილი, ოსი ხიზანი, მოუქნელი, „ქალაქში შემოვარდნილი დათვი“ — „ველური კავკასიელი“) მომავალი ტირანის უსაზღვრო ძალაუფლებისა და ამის სავალალო შედეგების შესახებ.

განსხვავებით ჯავახიშვილისგან, რომელიც, სავარაუდოდ, ამ წინასწარმეტყველებას შეენირა ავად სახსენებელ 1937 წელს, საბჭოეთიდან ლტოლვილმა, ფაშისტურ გერმანიას და მოგვიანებით, შვეიცარიას თავშეფარებულმა გრ. რობაქიძემ, რომელიც გათავისუფლდა კომუნისტური ტერორისა და ცენზურის მარნუხებისგან, ქარაგმული მინიშნებისა და სიმბოლურ-ალეგორიული თქმების გარეშე გაშიფრა, ამოხსნა და ამოიცნო „ხვლიკისთავა“ ტირანის საიდუმლო, რითაც ერთდროულად კიდევ შეიცნო კერპი და კიდევ დაამხო, დემითოლოგიებისა და ბერძნული კოსმოგონიისათვის ნიშნული მითოლოგიის „კასტრირების“ (შდრ. „ჩაკლული სული“ — ხარის კასტრირების ალეგორია) რემითოლოგიების ხერხებით, რითაც ევროპული ალტერნატიული ლიტერატურული დისკურსი არსებითად განსხვავდებოდა ადგილობრივისგან, სადაც კერპის დამხოზამდე ჯერ კიდევ ხანგრძლივი და მტიკინეული გზა უნდა გაეგლო საბჭოთა ტერორით ნაწამებ ერებს.

ამიტომაც მისწერს 1942 წლის 2 დეკემბერს გრ. რობაქიძეს ლეოპოლდ ციგლერი ბარათს და ურჩევს, რომ „გველის პერანგი“, „ჩაკლული სული“ და „გრაალის მცველნი“ „ქართული ტრილოგიის“ სახელით ერთად გამოსცეს, რადგან, ლეოპოლდ ციგლერის აზრით, გრ. რობა-

ქიძე იყო ერთადერთი, ვინც მოახერხა რევოლუციის, ანუ ბოლშევიზმის სულიერი დამარცხება, ხოლო ამის საბუთი ეს ტრილოგია იქნებოდა.

შესაბამისად, ჩვენ გვსურს წარმოვადგინოთ განსხვავებები ბოლშევიზმის შესახებ ადგილობრივ ლიტერატურაში წარმოდგენილ ქარაგმულ მტყვევებასა და ალტერნატიულ ევროპულ ლიტერატურულ დისკურსს შორის.

KONSTANTINE BREGADZE

Georgia, Tbilis

Shota Rustavli Institute of Georgian Literature

Robakidze contra Nietzsche: Understanding the Concept of *Life* According to Grigol Robakidze (In accordance with the Philosophical Essay Collection 'Demon and Mythos' ("Dämon und Mythos"))

Grigol Robakidze (1880-1962) (along with Konstantine Gamsakhurdia) is one of those Georgian Modernist writers, in whose writings the reception of the philosophical heritage of Friedrich Nietzsche (1844-1900) is depicted with intensively.

As in Nietzsche's as well as the philosophical thinking of Grigol Robakidze one of the fundamental issues is that of understanding the concept of Life (**Leben**). In this vital issue, Robakidze opposes Nietzsche from the very beginning. In particular: The understanding of the Concept of Life (mainly seen in Thus Spoke Zarathustra) anti-logos centrist, because *Life* according to Nietzsche is free of all metaphysical sense and is an irrational which lacks conscious and logos, it is understood as the 'blind' part of existence, spontaneous beginning, which is the essence of existence and is manifested as an infinite, without any sense of urgency and purpose of the spontaneous emergence and disappearance.

Opposed to this *Life* according to Robakidze is a phenomenon full of conscious and logos. Therefore, deriving from this statement Human, which is a live creature in its existence is connected with divine metaphysical beginnings, and this is why human during her/his existence strives to seek these metaphysical beginnings and strives to achieve her/his genuine existence (See the Essays by Robakidze 'Feeling of life in the West and the East, 'Fear of Death and Mythos'). So we can argue that *Life* is not an irrational devoid of reason or sense, but a prior strive to metaphysical beginning. *Life* according to Robakidze is understood on one hand as a *mystical Dionysian phenomenon*, on the other hand the only precondition to enter Logos.

The hermeneutics of the Concept of *Life* can be found throughout the philosophical work of Robakidze, the period of time before and after emigration (Germany, Switzerland - 1931-1962). In this regard the Philosophical Essay Collection 'Demon and Mythos' ("*Dämon und Mythos*") published in Germany in 1935 is rather important because this work clearly depicts Robakhidze's attitude towards the concept of Life.

კონსტანტინე ბრეზაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

რობაქიძე *contra* ნიცშე: სიცოცხლის ცნების გაგება გრიგოლ რობაქიძესთან (ფილოსოფიური ესსეების კრებულის — „დემონი და მითოსი“ ("*Dämon und Mythos*") — მიხედვით)

გრიგოლ რობაქიძე (1880-1962) (კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად) სწორედ იმ ქართველ მოდერნისტ ავტორთაგანია, რომლის შემოქმედებაშიც ინტენსიურადაა მოცემული ფრიდრიჰ ნიცშეს (1844-1900) ფილოსოფიური მემკვიდრეობის რეცეფცია.

როგორც ნიცშეს, ისე რობაქიძის ფილოსოფიურ ნააზრევში ერთ-ერთი ფუნდამენტური საკითხია სიცოცხლის (**Leben**) ცნების გაგება. ამ ფუნდამენტურ საკითხში რობაქიძე იმთავითვე უპირისპირდება ნიცშეს. კერძოდ: ნიცშეს მიერ განავითარებული სიცოცხლის ცნების გაგება (განსაკუთრებით იხ. „ესე იტყოდა ზარატუსტრა“) ანტილოგოცენტრისტულია, ვინაიდან აქ სიცოცხლე გაგებულია, როგორც ყოველგვარ მეტაფიზიკურ საზრისსა და გონით-ლოგოსისეულ დაფუძნებას მოკლებული ირაციონალი, გაგებულია როგორც ყოფიერების „ბრმა“, სტიქიური პირველსაწყისი, რომელის არსიც ყოფიერებაში ვლინდება როგორც უსასრულო, ყოველგვარ მიზანსა და აზრს მოკლებული სტიქიური წარმოქმნა და გაქრობა.

ამის საპირისპიროდ, რობაქიძესთან სიცოცხლე იმთავითვე განხილულია, როგორც გონით-ლოგოსისეული წარმოშობის ფენომენი. აქედან გამომდინარე, ადამიანი, როგორც „სიცოცხლისმიერი“ არსება, თავის ეგზისტენციაში იმთავითვე ღვთაებრივ-მეტაფიზიკურ პირველსაწყისებთანაა დაკავშირებული, რაც მას შესაძლებლობას ანიჭებს მთელი სიცოცხლის მანძილზე მუდმივად ისწრაფვოდეს ამ მეტაფიზიკურ-ტრანსცენდენტური საწყისებისაკენ, ანუ ისწრაფვოდეს საკუთარი ჭეშმარიტი ეგზისტენციის მოპოვებისაკენ (იხ. რობაქიძის ესსეები „სი-

ცოცხლის განცდა დასავლეთსა და აღმოსავლეთში“, „თაურშიში და მითოსი“). შესაბამისად, *სიცოცხლე* ყოველგვარ მიზანსა და საზრისს მოკლებული ირაციონალი კი აღარაა, არამედ აპრიორული სრაფვაა მეტაფიზიკური თაურსაწყისებისაკენ. ამდენად, *სიცოცხლის* ცნების რობაქიძისეული გაგება წმინდად ლოგოცენტრისტულია, ვინაიდან *სიცოცხლე* რობაქიძესთან, ერთი მხრივ, გააზრებულია როგორც *მისტიკური დიონისურობის* წიაღი, მეორე მხრივ, როგორც ლოგოსის/თაურსაწყისის ყოფიერებაში ემანაციისა და დაფუძნების ერთადერთი წინაპირობა.

სიცოცხლის ცნების ჰერმენევტიკას რობაქიძის მთელი ფილოსოფიური შემოქმედება ეძღვნება, როგორც ემიგრაციამდელი, ისე ემიგრაციის (გერმანია, შვეიცარია — 1931-1962) პერიოდის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გერმანიაში გამოცემული რობაქიძის ფილოსოფიური ესსეების კრებული „დემონი და მითოსი“ (1935), სადაც სრული სისავსითაა განხილული და წარმოჩენილი აღნიშნული პრობლემატიკის რობაქიძისეული გააზრება.

LEVAN BREGADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Resettlement into Books

Givi Margvelashvili's peculiar works are marked by his unique biography. Born in the family of the parents forcibly immigrated to Germany, he himself became a forced immigrant in his parents' country after World War II. He “was by brutal violence torn away from his home - Europe and locked up in one hermetic hole of the Soviet totalitarianism – as a result, his (German) texts became islands in the environment of the other (Georgian) language, lost their (German) readers, and returned to his motherland after the fatal detainment” (N.Gelashvili).

This biographical event greatly conditioned the emergence of his main artistic concept: resettlement into books—his secret homeland (one of his early verses starts with these words: “Let your homeland / be your secret”, and in another verse written in the same period he says: “I am a book character. / In my book— / I call it also my biographical map— / is my destiny precisely mapped out”).

Give Margvelashvili reads his real life—past, present, or future one—as a book (“...And your fathers are for you / an old, strange book”); in his memory, as in a book, the reminiscences about his parents, or the parents themselves—the “people-recollections” are living (literary miniature “Between then and now”).

The postmodern concept of resettlement into books is the one on which Givi Margvelashvili's masterpiece: the poem entitled "Hamlet to be or not to be?" is based, where his meeting with the ghost of his father, who was murdered by the Soviet secret service, occurs in the Shakespeare's tragedy.

ლივან ბრეზაძე

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნიგნებში გადასახლება

გივი მარგველაშვილის თვითმყოფადი შემოქმედება მისი უნიკალური ბიოგრაფიით არის დადგასმული. გერმანიაში იძულებით ემიგრირებული მშობლების ოჯახში დაბადებული, ის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თვითონაც იძულებითი ემიგრანტი ხდება თავისი მშობლების სამშობლოში. იგი „სასტიკი ძალმომრეობით მოსწყვიტეს თავის სამშობლოს — ევროპას და გამოკეტეს საბჭოთა ტოტალიტარიზმის ერთ ჰერმეტიულ კუნჭულში — რის შედეგადაც მისი (გერმანული) ტექსტები სხვა (ქართული) ენის გარემოცვაში კუნძულებად იქცა, დაკარგა საკუთარი (გერმანელი) მკითხველი და ფატალური დაგვიანებით დაუბრუნდა სამშობლოს“ (ნ. გელაშვილი).

დიდნილად ამ ბიოგრაფიულმა მომენტმა განაპირობა გივი მარგველაშვილის შემოქმედების მთავარი მხატვრული კონცეპტის გაჩენა — ნიგნებში, როგორც საიდუმლო სამშობლოში, გადასახლება (მისი ერთი ადრინდელი ლექსი ასე იწყება: „დე, შენი სამშობლო / იყოს შენი საიდუმლო“, ხოლო იმავე ხანებში დაწერილ სხვა ლექსში ამბობს: „მე ნიგნის გმირი ვარ. / ჩემს ნიგნში — / მე მას ჩემს ბიოგრაფიულ რუკასაც ვუწოდებ — / ზუსტად მიწერია ჩემი ბედისწერა“).

თავის რეალურ ცხოვრებას, წარსულს, ანმყოს თუ მომავალს, გივი მარგველაშვილი ნიგნით კითხულობს („...და მამა-პაპა / ძველ და უცხო ნიგნად გექცევა“), მის მუხსიერებაში, როგორ ნიგნში, ცხოვრობენ მისი მოგონებები მშობლებზე, ანუ — თვითონ მშობლები, „ადამიან-მოგონებანი“ (მინიატურა „ოდესღაც“-ასა და „ახლა“-ს შორის“). ნიგნში გადასახლების პოსტმოდერნისტული კონცეპტი უდევს საფუძვლად გივი მარგველაშვილის შედევრს — ლექსს, რომლის სათაურია „ჰამლეტად ყოფნა თუ არყოფნა?“, სადაც საბჭოთა სპეცსამსახურის მიერ მოკლული მამის აჩრდილთან შეხვედრა შექსპირის ტრაგედიაში ხდება.

IA BURDULI

Georgia, Tbilisi

Georgian Technical University

German Literature in Exile

‘Harmful Books’

On May 10, 1933, after the power transition to Hitler, both in Berlin, the Capital City of Reichstag and in many other university cities in Germany the books by German authors were burned. Alfred Kantorovich, the exiled German Writer expressed his concerns over these trends.

In 1937, in the magazine *World Stage* was published Berthold Brecht’s Poetry *the names of the Emigrants*. In that way Brecht brought the question: ‘Emigration or true Exile?’

Many Modernist-historical novels, created in exile are known as historical novel – an allegory (George Lucas). There might be drowning many parallels with the German National-Socialism terror.

In Emigrants’ magazine in Moscow *Word* was included so called Expressionistic Debates, being based on Marxist concept of Realism. These were the letters sent between George Lucas and Anna Zegers. This was the discussion of the structure of reality in Literature. According to Lucas, the main point for a write is the presentation of World totality. As for Anna Zegers, she shares the opinion of John Dos Passos, who claims that the Totality of the Society can often be expressed in ‘a hash of the material.’

The need of realism reconsideration emerged. The boundary between Realism and Non-Realism became more fluid. The new and ‘eclectic’ art-visual tendencies developed utopian novel. “Biographies of souls”, stories of human souls.

‘The Land Scope of Soul’ and Herman Hesse.

ია ზურდული

საქართველო, თბილისი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გერმანული ლიტერატურა გადასახლებაში

„ზიანის მომტანი“ წიგნები.

პიტლერის ხელში ძალაუფლების გადასვლის შემდეგ 1933 წლის 10 მაისს რაიხსტაგის დედაქალაქ ბერლინში და ბევრ სხვა გერმანულ საუნივერსიტეტო ქალაქში გერმანულ ავტორთა წიგნები დანვეს. ამ ფაქტს მტკივნეულად გამოხატავს ლიტერატურის ისტორიკოსი, თავად გადასახლებაში მყოფი, ალფრედ კანტოროვიცი.

ჟურნალში „მსოფლიოს სცენა“ 1937 წელს გამოქვეყნდა ბერტოლდ ბრეხტის ლექსი: „ემიგრანტთა სახელწოდების შესახებ“.

ბრეხტი ასე აყენებს საკითხს: ემიგრაცია თუ ნამდვილი გადასახლება?

ემიგრაციაში შეიქმნა არაერთი მოდერნისტულ-ისტორიული რომანი, რომელიც სახელდება: ისტორიული რომანი ალეგორია (გეორგ ლუკასი).

ამ რომანებში ბევრი პარალელია გავლებული გერმანიის ნაციონალ-სოციალისტურ ტერორთან.

ემიგრანტთა მოსკოვურ ჟურნალში „ვორტ“ (სიტყვა) შეიტანეს რეალიზმის მარქსისტული კონცეფციის მატარებელი ე.წ. ექსპრესიონისტული დებატები.

ეს იყო მიმონერა ანა ზეგერსა და გეორგ ლუკას შორის. იგი განიხილავდა ლიტერატურაში სინამდვილის სტრუქტურას: ლუკასის აზრით მწერლისათვის მთავარ მიზანს საზოგადოების ტოტალურობის წარმოჩენა წარმოადგენდა. ანა ზეგერსი კი ამერიკელ ჯონ დოს პასოსის ემხრობოდა, რომლის მიხედვით საზოგადოებრივი ტოტალურობა ხშირად მხოლოდ „მასალის ნაკუნში“ შეიძლება გამოისახოს.

რეალიზმის გაგებამ გადასინჯვა მოითხოვა.

ზღვარი რეალიზმსა და არარეალიზმს შორის უფრო დენადი გახდა. ახალმა და „ეკლექტიურმა“ მხატვრულ-გამომსახველობითმა ტენდენციებმა უტოპიური რომანი განავითარა, „სულის ბიოგრაფიები“, ადამიანის სულის ისტორიები.

„სულის ლანდშაფტი“ და ჰერმან ჰესსე.

RŪTA BRŪZGIENĖ

Lithuania, Vilnius

Mykolas Romeris University, Institute of Humanities,

Department of Rhetoric, Lithuania

Bernardas Brazdžionis – Herald of Freedom: Poetical Rhetoric of Emigrational Lyrics

Lithuanian poet Bernardas Brazdžionis, in 1944 having emigrated to the West, became an active public man. He was the editor of the *Lithuanian encyclopaedia* published in public literature department in the USA, in 1955-72, he edited the magazine *Lithuanian days*, in 1961-1965 and 1980-83 he was the chairman of the Lithuanian writer society. In emigration he published his several poem sets (*Strange mountains*, 1945, *Polar lights*, 1947, *Great crossroads*, 1953, *Midday gardens*, 1961, *Under high arches*, 1989, etc.). In the poems, the most important are the motifs of Mother-country freedom, destiny, there predominates rhetoric pathetics which had especially great influence on Lithuanian residence and period of revival. The report would analyze the genre, stylistic and rhetoric expression of emigration poetry of Brazdžionis in the motifs of Mother-country freedom, also, it discusses the aspects of form dynamics musically and in the attitude of existential semiotics (E. Tarasti). One will use comparative methodology as well as the works of E. Tarasti, R. Monelle, M. Grabocz, W. Wolf, V. Bobrovskis, V. Kubilius, J. Girdzijauskas, etc.

VÜSAL ÇELEBİ

Turkey, Trabzon

Karadeniz Technical University

B.Yevseev and I.Bunin: Realism in the Context of Parallel

Realistic aspect of modern literature, on one hand, remains applicable to the classic realism, on the other hand-it is open to new trends. It was always the same in the development of realism in Russian literature. From the history of Russian literature, it is known that realist writers go beyond the typology of classical realism very often in his works. As a result, they create new versions of realistic strategy.

In this regard, an interesting analysis of the works shows that the brightest representative of modern prose is B.Evseeva who considers himself “the newest realist” and Yevseeva has shown his own difference not only in classical realism but also in a realistic aspect of contemporary prose. Bunin deals with a variety of

themes in his works which belong to the immigration period. With all his incomparable talent in the immigration period, he calls himself “symbolist”.

The comparative analysis of the works of these writers suggests the process of renovation of realism which has gone through various stages of the literature. We can also find a number of similar characteristics. Some features of realism have importance attached to the details. These features include the boundaries of time and space, cause and effect and characteristics of realistic works. Apart from all above, some themes, such as eternal themes, symbolism, a combination of life and existence, hard realism and romance, truth and fiction, reality and mysticism, require sensuality to be displayed.

ВЮСАЛ ЧЕЛЕБИ

Турция, Трабзон

Черноморский технический университет

Б.Евсеев и И.Бунин: Реализм в контексте параллелей

Реалистическое крыло современной литературы, с одной стороны, сохраняет верность классическому реализму, с другой – открыто новым веяниям. И так было во все времена развития реализма в русской литературе. Из истории русской литературы известно, что писатели-реалисты очень часто в своих произведениях выходили за рамки типологии классического реализма. В результате создавались новые модификации реалистической стратегии.

В этом плане интересным представляется анализ творчества ярчайшего представителя современной прозы Б.Евсеева, относящего себя к «новейшим реалистам» и тем самым демонстрирующего свою инаковость не только по отношению к реализму классическому, но и в целом к реалистическому крылу современной ему прозы. Стремление к отмежеванию от классического реализма характеризует и творчество И.Бунина эмигрантского периода, когда он во всём блеске проявляет талант несравненного стилиста называет себя символистом, а критика определяет его творчество как «реалистический символизм».

Сопоставительный анализ творчества этих писателей позволяет говорить о процессах обновления реализма на разных этапах литературного процесса и обнаружить, наряду с индивидуальными, целый ряд сходных черт. Это нивелирование границ времени и пространства, причинно-следственных связей, характерных для реалистических произведений, большое значение, которое придаётся детали, чувственность в раскрытии вечных тем, символика, сочетание быта и бытийности, жесткого реализма и романтики, правды и вымысла, реальности и мистики.

NATELA CHITAU

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgian Émigré Literature and National Identity

The reality (intensive migrations, intercultural communications) has brought into existence the overcoming of ethnocentrism, interdisciplinary research areas in national culture. On the one hand, the literature created abroad by emigrants is an interesting sphere of comparativistic studies. It represents intercultural wholeness with special political, social, psychological aspects. On the other hand, closeness between the nations and erasing of boundaries were accompanied by painful processes of the merging globalization and traditionalism, necessity of the study of self-knowledge and self-determination, issues of national identity.

Today social science unambiguously recognizes that national identity is considerably determined by ethnocultural markers, “nation’s character”, generally, culture (D.Smith, Lothar Blum, Donald Reyfield, Taras Kuzio). The sociology of literature (Paul Aron, Alain Viala) displayed the importance of studying this sociocultural phenomenon in literature.

Naturally, in an era of global transformations and mass migrations the study of national identity is important in such an interesting sphere of intercultural pattern of writing as Georgian émigré literature. The latter reveals the transformation of identity in an interesting way (e.g. the change of an “angle of vision” and also “a fact of liminalisation, etc.).

Georgian émigré literature is presented in two stages: the first from the 1920s to disintegration of the Soviet Union, the second stage – from the 1990s, i.e. from the independence of Georgia till present.

Georgian émigré literature as an intercultural pattern of writing reveals different forms of psychological and cultural adaptation in the cross-sectional influences. (Soviet, post-Soviet, post-colonial experiences, west European context, regional, Caucasian and, partially, Asian influences), globalized identity (the so-called “world field”) - rules of foreign influences (Lanson). All this is extremely important in national identity research.

In order to show the issues of national identity in creative works of the émigré compatriots it is essential to use interdisciplinary, specifically, sociological methods too. The creation of theoretical frame on the basis of national markers (language, religion, national memory, regional and globalized impacts, the factor of liminality or split personality, etc.); analysis of a discourse – treatment of texts according of the mentioned markers.

ნათელა ჩიტაური

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ქართული საზღვარგარეთული მწერლობა და ეროვნული იდენტობა

რეალობამ (ინტენსიური მიგრაციები, ინტერკულტურული კომუნიკაციები) მოიტანა ეთნოცენტრიზმის გადალახვის, ინტერდისციპლინური კვლევითი სივრცის არეალის არსებობა ეროვნულ კულტურაში. ერთი მხრივ, კომპარატივისტულ კვლევათა საინტერესო სფეროა მიგრანტების მიერ საზღვარგარეთ შექმნილი ლიტერატურა. იგი თავისთავად წარმოადგენს ინტერკულტურულ მთლიანობას პოლიტიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური განსაკუთრებული ასპექტებით. მეორე მხრივ, ერების დაახლოებას და საზღვრების „მოშლას“ თან მოჰყვა გლობალიზაციისა და ტრადიციონალიზმის შერწყმის მტკიცენიშნული პროცესები, თვითშემეცნებისა და თვითდამკვიდრების, ეროვნული იდენტობის პრობლემების კვლევის საჭიროება.

დღეს სოციალური მეცნიერება ცალსახად აღიარებს, რომ ეროვნულ იდენტობას მნიშვნელოვანად განსაზღვრავს ეთნოკულტურული მარკერები, „ერის ხასიათი“, ზოგადად კულტურა. (დ. სმითი, ლოთარ ბლუმმი, დონალდ რეიფილდი, ტარას კუზიო) ლიტერატურის სოციოლოგიამ (პოლ არონი, ალენ ვილა) წარმოაჩინა ამ სოციოკულტურული ფენომენის კვლევის აუცილებლობა მწერლობაში.

ცხადია, გლობალური ტრანსფორმაციებისა და მასობრივი მიგრაციების ეპოქაში მნიშვნელოვანია ეროვნული იდენტობის შესწავლა მწერლობის ინტერკულტურული მოდელის ისეთ საინტერესო სფეროში, როგორცაა ქართული საზღვარგარეთული მწერლობა. ამ უკანასკნელში იდენტობის ტრანსფორმაცია ხელშესახებად და საინტერესოდ ვლინდება (თუნდაც „ხედვის კუთხის შეცვლა“, ასევე „ლიმინალობის ფაქტორი“ და ა.შ.).

ქართული საზღვარგარეთული მწერლობა ორ ეტაპად, ორ თვისობრიობად წარმოგვიდგება: პირველი — მე-20 საუკუნის ოციათი წლებიდან ვიდრე საბჭოთა კავშირის დაშლამდე, მეორე — მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან, ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, დღემდე.

ქართული საზღვარგარეთული მწერლობა, როგორც მწერლობის ინტერკულტურული მოდელი, ავლენს პიროვნებათა ფსიქოსოციალური და კულტურული ადაპტაციის განსხვავებულ ფორმებს გავლენათა

კვეთაში. (საბჭოთა, პოსტსაბჭოთა, პოსტკოლონიური გამოცდილებები, დასვლეთევროპული კონტექსტი, რეგიონული, კავკასიური და, ნაწილობრივ, აზიური გავლენები, გლობალიზაციური იდენტობა (ე.წ. „მსოფლიო ველი“) — უცხოური გავლენების კანონი (ლანსონი). ეს ყველაფერი კი ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული იდენტობის შესასწავლად.

იმისათვის, რომ უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეების შემოქმედებაში ეროვნული იდენტობის პრობლემები წარმოვაჩინოთ, აუცილებელია გამოვიყენოთ კვლევის ინტერდისციპლინური, კონკრეტულად, სოციოლოგიური მეთოდებიც. თეორიული ჩარჩოს შექმნა ეროვნული იდენტობის მარკერების (ენა, რელიგია, ეროვნული მეხსიერება, რეგიონული და გლობალიზაციური გავლენები, პიროვნების გაორების ანუ ლიმინალობის ფაქტორი და ა.შ) საფუძველზე; დისკურსის ანალიზი — ტექსტების დამუშავება აღნიშნული მარკერების სქემით.

EKA CHKHEIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Grigol Robakidze about the Essence of Bolshevism (According to the Interview of Kale Salia)

In 1953 February 2, K. Salia interviewed G.Robakidze for the magazine “Bedi Qartlisa”. After the interview K. Salia wrote : “I have read plethora of researches about bolshevism, I have thought the matter for many times, but I have never come across such characterization and acknowledgment of the bolshevism system. G.Robakidze expressed and showed the deep analysis of the system, he highlighted and made clear not only innate pithiness of the system but controversial soul of the soviet individual as well”.

What did K.Salia mean by using expression “controversial soul of soviet individual” ? According to G.Robakidze the soul of the soviet individual was among the demon’s pincers and thus it looked like the figure 8; “the one half of the figure is the element of bolshevism and the second half is human one. There is permanent struggle between the two elements, often the first half is the winner – but it is not enough to gain wholeness” , from the point of view G. Robakidze I individual’s divine essence (innocent and unspoiled part of the soul) and the part of the soul spoiled by bolshevism (if we use figure) fails to become circle - 0. The half of figure 8 remains as the manifestation of the bifurcated nature soviet individual.

To substantiate his thesis G Robkidze uses Konstantine Gamsakhurdia's novel "The Right Hand of the Grand Master". The writer extols the dignity of the work and criticizes the ideological side of the novel, especially the episode (the action takes place in the Middle Ages) when the King of Georgia comes across the idea to use cross and icon as the mean of killing. 1. The King is "derided" – how could the king be the head of the country after using cross for killing. 2. "Derided" is the icon too – using holies for the reason is not fair. It is evident that Bolsheviks were happy after having read the episode of the novel, but Georgians? Each Georgian, Georgian patriot, got the episode like arrow in the heart".

From G.Robakidze's point of view, the main trouble in Konstantine Gamsakhurdia's novel is humiliation of the sacra, as the "the Living Pillar is the sacral midst of the history of Georgia and its icon is the symbolic manifestation of the midst". G. Robakidze considers the issue as the reconciliation of Georgian intelligence to bolshevism, thus analyzing the episode of the novel G.Robakidze finds the features peculiar to the soviet individual's psychics – he highlights the fact that any attempt of Georgian emigrants to communicate with the soviet individual is doomed to failure.

შპს ჩხეიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

გრიგოლ რობაქიძე ბოლშევიზმის არსის შესახებ (კალე სალიას ინტერვიუს მიხედვით)

ჟანრობრივად ეს ნარკვევები ისტორიულ-ლიტერატურული პორტრეტებია, ტიპოლოგიურად მათთვის დამახასიათებელი მხატვრული სტრუქტურის თავისებურებებით. ავტორი საგანგებოდ მოძიებულ დოკუმენტურ მასალებს ოსტატურად უხამებს ლიტერატურულ-ანალიტიკურ დისკურსს, რომელიც შთამბეჭდავი სახეობრივი სისტემით განსაკუთრებულ ემოციებს აღძრავს მკითხველში. ავტორის მიზანიც ეს არის — წარსულის რეტროსპექტული ხედვით, ისტორიის რეკონსტრუქციით თავისი თანამედროვეებისთვის მნიშვნელოვანი აქცენტები გამოკვეთოს.

შემთხვევითი არ არის, რომ ყველა პორტრეტი რუსეთის მიმართ „ამაყ მკერდ ქვეშ მაღალზიზღდაგუბებულ“ ქართველ ქალს წარმოაჩინოს და იმ „შავი“ ეპოქის ჩარჩოში თავსდება, რომელიც რუსული იმპერიალისტური აგრესიის შედეგად საქართველოში XIX საუკუნის გარიჟრაჟზე დაიწყო და დაუცხრომელი წინააღმდეგობის თანხლებით თითქმის ნახევარ საუკუნეს გასტანა. ახალი დროის მოვლენებიც ამ ეპოქის ლოგიკური გაგრძელება იყო. ისტორიის ამგვარ კონტექსტში თ. პაპავა არაერთ საგულისხმო ნიუანსზე ამახვილებს ყურადღებას, იქნება ეს „დიდი რუსეთის „რაინდობის“ ილუზიებით შეპყრობა“, ზოგიერთი ქართველის რენეგატობა, „ორდენების ბრჭყვიალებით“ ხიბლი თუ შემგუებლური ბუნება; თ. პაპავას ნარკვევებში ხელახალი სიმძაფრით დგება ერეკლეს პოლიტიკური არჩევნის მიზანშეწონილობა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც, რომლებიც აქტუალურად რჩება თანამედროვე ქართულ რეალობაშიც.

ამდენად, თამარ პაპავას „პორტრეტები“, როგორც ქართული ემიგრანტული მწერლობის ნაწილი, მძაფრი ნაციონალური განცდით აღბეჭდილი ლიტერატურული დისკურსია, რომელიც წარსულის გამოცდილების ფონზე ერის მომავალს ემსახურება.

ADA NEMSADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Givi Margvelashvili's Autobiographical Novel – “Captain Vacush's” Several Aspects

In year 1961 Givi Margvelashvili launches working on his autobiographical novel “Captain Vacushi”. “I only wanted to preserve my experience, where two worlds met in me”, - says author. The novel was published in Germany only around 1991-92 years, Georgian reader seized the opportunity to get him and his work known at 2005 with translation provided by Carlo Gorganeli (only the Book I was translated).

Novel is interesting for several aspects. In Georgian literary circles “Captain Vacushi” is artistic text written in non-Georgian language. In the first book there are described lives of the Georgians inhabited in Germany. It's worth paying attention how the Georgian emigrants manage to connect their national identity with mother origins. The main identifying signs are: “Kolkhian Vartburg” (“Kolkhian London castle”), Georgian alphabet, “Snake Skin”, “Choxa” (national dress for men), “Khanci”(like a cup for wine, made out of the Ox's Horn)... It is important to note the fact that those specific items are carrying symbolic meanings, which serve as orienting objects for main hero - Vacushi (in Georgian - Vakhushti) while searching and discovering his national face. And there is just another aspect to mention: there are clearly expressed postmodern signs, which didn't show in 60-ies Georgian literary space.

Genre issues are also quite important. In spite of the fact, that fictional-documental genre takes place from beginning of renaissance, “Captain Vacushi” is first example of autobiographical novel. It contains real life facts as well as quite big amount of fiction: the concrete time-space specific for this genre is replaced with symbolic one. Real objects and occurrences are symbolized as well (“Vartburg”, goglimogli-17, goglimogli-27...).

After all, Givi Margvelashvili's text mentioned above is completely different type of autobiographical novel, with deep symbolism and emphasized postmodern elements.

ადა ნემსაძე

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

გივი მარგველაშვილის ავტობიოგრაფიული რომანის — „კაპიტანი ვაკუში“ — რამდენიმე ასპექტი

1961 წელს გივი მარგველაშვილი იწყებს მუშაობას ავტობიოგრაფიულ რომანზე „კაპიტანი ვაკუში“. „მე უბრალოდ მინდოდა, ჩემი გამოცდილება არ დაკარგულიყო, ჩემში ხომ ორი სამყარო შეხვდა ერთმანეთს“, — წერდა იგი. რომანის გამოქვეყნება მხოლოდ 1991-92 წლებში მოხერხდა გერმანიაში, ქართველ მკითხველს კი მისი გაცნობის საშუალება 2005 წელს მიეცა კარლო ჯორჯანელის თარგმანით (თარგმნილია მხოლოდ I ნიგნი).

რომანი რამდენიმე ასპექტითაა საინტერესო. „კაპიტანი ვაკუში“ ქართულ სივრცეში არაქართულ ენაზე შექმნილი მხატვრული ტექსტია, რომლის I ნიგნიც 1917-21 წლებში გერმანიაში მცხოვრები ქართველობის ყოფაა აღწერილი. ყურადღებას უპირველესად იქცევს ის, თუ როგორ ახერხებს ეროვნული იდენტობის ჯაჭვის გაბმას ემიგრანტი ქართველობა მშობლიურ ნიადაგთან. აქ მთავარი მაიდეინტიფიცირებელი ნიშნებია: „კოლხური ვარტბურგი“ („კოლხური ლოდინის ციხე-სიმაგრე“, რომელიც გერმანიაში ქართველთა მიერ დაარსებული ფიზიკური თავშესაფარიცაა და სულიერიც), ქართული ანბანი, „გველის პერანგი“, ჩოხა, ყანწი... აღსანიშნავია, რომ ეს კონკრეტული საგნები ამავდროულად ღრმა სიმბოლური ველის მქონე მხატვრული სახეებია, რომლებიც მთავარ პერსონაჟს — ვაკუშის (ქართულად ვახუშტის) ეროვნული სახის ძიებისა და პოვნის პროცესში ორიენტირებად ესახება. აღსანიშნავია კიდევ ერთი ასპექტი: რომანში მკვეთრად გამოხატული პოსტმოდერნისტული ნიშნები ჩანს, რაც 60-იანი წლების ქართულ სალიტერატურო სივრცეში ჯერაც არ შეინიშნება.

მნიშვნელოვანია ჟანრის საკითხიც. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრი ჯერ კიდევ აღორძინების ხანაიდან იღებს სათავეს, „კაპიტანი ვაკუში“ ავტობიოგრაფიული რომანის ერთ-ერთი პირველი ნიმუშია ქართულ ლიტერატურაში. იგი შეიცავს როგორც ავტორის ცხოვრების რეალურ ფაქტებს, ისე საკმაოდ დიდი დოზით მხატვრულ გამონაგონსაც: ჟანრისთვის დამახასიათებელი დროისა და სივრცის კონკრეტულობა აქ მთლიანად დარღვეულია და ჩანაცვლებულია სიმბოლური დრო-სივრცით. ასევე სიმბოლიზებულია რეალური საგნები თუ მოვლენები („ვარტბურგი“ — კონკრეტულიცაა და

აბსტრაქტულიც, გოგლიმოგლი-17 — 1917 წლის რევოლუცია, გოგლი-მოგლი-27 — რთული სიმბოლური სახე, რომელიც ხან გერმანიაში ნაცისტური მოძრაობის გააქტიურებას ნიშნავს, ხანაც თავად ავტორს, რომელიც ასევე 1927 წელს დაიბადა და ა. შ.).

ამრიგად, გივი მარგველაშვილის ეს ტექსტი არის სრულიად განსხვავებული ტიპის ავტობიოგრაფიული რომანი ღრმად სიმბოლური პლანითა და გამოსატყუი პოსტმოდერნისტული ელემენტებით.

VALENTIN NIKITIN

Russia, Moscow, Zelenograd

Orthodox Radio “Logos”

The Inward Emigration in the Life and Poetry of Terenti Graneli

The oxymoron “inner emigration” is presented in juxtaposition to factual emigration. Its manifestations are presented in the psychology of a nonconformist and outcast, dissenter, dissident and oppositionist.

Terenti Graneli is not a political dissident or oppositionist, but a poet of genius, a dissident who is not of this world. It is possible to speak of “radial energy” in his soul which strove towards the Absolute. His inner emigration was not passive confrontation with the totalitarian regime and not forced flight from society, not a case of “second skin,” and not an attempt at social mimicry, but a spiritual modus of personality, the genuine “self,” the independence from society granted by God.

The mystery nature of Terenti Graneli’s inner emigration makes him different from Grigol Robakidze, a politician (though both had been located “on the third shore”), as well as from Joseph Brodsky, as a representative of the “underground.”

The scantiness and non-applicability of the concepts of the “public” and “private” spheres of emigration (the terms were coined by Jurgen Habermas) is applicable to Terenti Graneli. The poet’s personality cannot be reduced to dissociation or split into two personae, one of which manifests itself in the social sphere, and the other – in the private sphere. The poet also cannot be crammed into the Procrustean bed of the so-called “split identity.” Terenti Graneli is presents an integral and harmonious being in a unified hypostasis of a mystic.

Graneli's inner emigration presents a much more serious and significant phenomenon than merely a withdrawal of the dissident poets into the role of "yardman and night guards" in the subsequent totalitarian years.

Alexander Solzhenitzyn's call for "living not according to falsehood," as a certain ideological alternative to the unscrupulousness of ideas and non-conformist hypocrisy, cannot be applied to Tereni Graneli. Every word by the remarkable Georgian poet was an act of the most profound sincerity, a confession of the one and indivisible "Truth of God."

This truth is historically and metaphysically inherent in the national Georgian mentality, which involves the feeling of honor and one's own personal dignity, and chivalry without fear or reproach.

В. А. НИКИТИН

Россия, Москва, Зеленоград

Православное радио «Логос»

«Внутренняя эмиграция» в жизни и поэзии Теренти Гранели

Оксюморон «внутренняя эмиграция» как оппозиция по отношению к реальной эмиграции. Внутренняя эмиграция в психологии отщепенца и изгоя, подпольщика, диссидента и оппозиционера.

Теренти Гранели - не политический диссидент и не оппозиционер. Гениальный поэт с судьбоносным лейтмотивом «memento mori» - **диссидент не от мира сего**. Можно говорить о «радиальной энергии» в душе поэта, тяготеющей к Абсолюту. Его внутренняя эмиграция была не пассивной конфронтацией с тоталитарным режимом и не вынужденным бегством от общества, не «второй кожей» и не попыткой социальной мимикрии. Это модус истинного бытия в свободе, дарованной Богом.

Мистериальная природа внутренней эмиграции Теренти Гранели отличает его от Григола Робакидзе, как политика (хотя оба были «на третьем берегу»); отличает и от Иосифа Бродского, как неконформиста и представителя «андеграунда» (до его высылки из СССР).

Ограниченность и неприменимость понятий «публичной» и «частной» сферы внутренней эмиграции (термины Юргена Хабермаса) применительно к Теренти Гранели. Личность поэта несводима к диссоциации на две персоны, одна из которых проявляет себя в общественной сфере, а другая – в приватной. Поэта нельзя втискивать и в прокрустово ложе «расщепленной

идентичности». *Теренти Гранели целостен и гармоничен в единой ипостаси мистика.*

Внутренняя эмиграция Гранели - явление аналогичное уходу в дворники и сторожа поэтов-диссидентов в 60-е-70-е годы XX века, но не типичное, а уникальное. Оно гораздо серьезнее и значительнее по своей метафизической природе, чем подобные проявления в парадигме постмодерна.

Призыв Александра Солженицына «жить не по лжи» как некая идейная альтернатива идейной беспринципности и неконформистского лицемерия неприменим по отношению к Теренти Гранели. Каждое слово замечательного грузинского поэта было актом глубочайшей искренности, исповеданием единой и нераздельной «правды Божьей».

Эта правда исторически и метафизически присуща национальному грузинскому менталитету, чувству долга и собственного достоинства, рыцарству без страха и упрека.

AVTANDILI NIKOLEISHVILI

Georgia, Kutaisi

Akaki Tsereteli State University

For the Place of Lado Arveladze in the History of Georgian Emigrant Literature of the XX Century

In the 20th century, among the Georgian writers living and working in Europe and the United States, Lado Arveladze occupies pride of place. Unfortunately, not much is known about his life and work not only for a wide public but for the specialists as well. His four handwritten manuscripts are kept in the Georgian emigrant writers' museum of the Tbilisi State University: 1. *Between the Native and Foreign Lands*, Book III, Paris 1963. 2. *Short Stories*, New York 1964. 3. *Short Stories*, New York 1965 and 4. *Between the Native and Foreign Lands*, Book IV, New York 1966. Apart from the abovementioned writings there are no other manuscripts kept either in Georgian museum or in any other institution.

Lado Arveladze must have immigrated to the United States in the late 40s after he was taken prisoner in the Second World War. First he lived in Germany and Italy and then in the late 40s went to the USA. In the late 60s he returned to Italy. He died in Rome in 1975.

Arveladze's fiction is at its best in his short stories. This is an interesting fact in itself because the literary energy of Georgian emigrant writers usually was exposed in their poetry and publicism, while fictional works are both fewer in num-

bers and have lesser literary value. Although Arveladze's fiction does not compare to the masterpieces of Georgian literary works in terms of writing skillfulness, but he still should be considered to be one of the best emigrant fictional writers of his time. His writings are especially interesting in critical conceptualization of the disadvantages and state problems characteristic to the soviet regime.

Apart from his fictional writings, Lado Arveladze published letters and essays as well in Georgian emigrant press. In these non fictional works concerning the current affairs and historical existence of Georgia, Arveladze addressed many national issues with a critical eye.

Based on the abovementioned it can be said with conviction that Arveladze – an unknown person to Georgian society is one of the most interesting representatives of the 20th century Georgian emigrant literature.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლადო არველაძის ადგილისათვის XX საუკუნის ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ისტორიაში

მეოცე საუკუნეში ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ქართველ მამულიშვილთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს მწერალ ლადო არველაძეს. სამწუხაროდ, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დღესდღეობით არათუ ფართო საზოგადოებისთვისაა ბევრი რამ უცნობი, არამედ სპეციალისტებისთვისაც კი. ლ.არველაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმში დღესდღეობით ოთხი ხელნაწერი წიგნია დაცული: 1. მშობლიურ მიწასა და უცხო მიწათა შორის, წიგნი III, პარიზი, 1963 წ. 2. მოთხრობები, ნიუ-იორკი, 1964 წ. 3. პატარა მოთხრობები, ნიუ-იორკი, 1965 წ. და 4. მშობლიურ მიწასა და უცხო მიწათა შორის, წიგნი IV, ნიუ-იორკი, 1966 წ. გარდა დასახელებული წიგნებისა, ლ. არველაძესთან დაკავშირებით არც ხსენებულ მუზეუმში და არც საქართველოს სხვა რომელიმე დაწესებულებაში არაფერია დაცული.

ემიგრაციაში ლ. არველაძე 1942 წლიდან ცხოვრობდა, მეორე მსოფლიო ომში ტყვედ ჩავარდნის შემდეგ. თავდაპირველად მას გერმანიასა და იტალიაში მოუხდა ყოფნა, 40-იანი წლების ბოლოს ამერიკაში გადა-

ვიდა, 60-იანი წლების ბოლოდან კი ისევ იტალიაში დაბრუნდა. გარდა-
იცვალა რომში 1975 წელს.

ლ. არველაძის შემოქმედებითი შესაძლებლობები ყველაზე მეტად
მის მოთხრობებში გამოვლინდა. ეს გარემოება განსაკუთრებულ მნიშ-
ვნელობას იმ თვალსაზრისითაც იძენს, რომ ქართველ ემიგრანტ მწერ-
ალთა ლიტერატურული ენერგია ყველაზე მეტად პოეზიასა და პუბლი-
ცისტკაში წარმოჩინდა, მხატვრული პროზა კი გაცილებით სუსტიცაა
და რაოდენობრივადაც ცოტა. მართალია, ლ. არველაძის მოთხრობების
მხატვრული ოსტატობის ხარისხი ქართული პროზის დიდოსტატების
მწერლურ მიღწევებს ვერ შეედრება, მაგრამ იგი ემიგრაციაში მოღვაწე
ქართველ ემიგრანტ პროზაიკოსთა შორის მაინც უნდა ჩაითვალოს
ერთ-ერთ ამკარად გამოჩენულ ბელეტრისტად. ლ. არველაძის პროზ-
ისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს საბჭოთა სინამდვილის-
ვის ფართოდ დამახასიათებელ მანკიერებათა და ეროვნულ-სახელმწი-
ფოებრივ პრობლემათა კრიტიკული თვალთახედვით გააზრება.

გარდა მხატვრული ნაწარმოებებისა, ქართულ ემიგრანტულ პრე-
საში ლ. არველაძე პუბლიცისტურ წერილებსაც აქვეყნებდა. საქარ-
თველოს ისტორიული და თანადროული ყოფისადმი მიძღვნილ ამ წე-
რილებში ეროვნული თვალთახედვითაა გააზრებული ქართული ყოფის
ბევრი საჭირობოტო საკითხი.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დაბეჯითებით
იტყვას, რომ ქართველი საზოგადოებისთვის სრულიად უცნობი ამ
პიროვნების სახით მეოცე საუკუნის ქართულ ემიგრანტულ მწერლობას
ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო წარმომადგენელი ჰყავს.

MAIA NINIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

National Identity Narrative in Zurab Kalandadze's works

Georgian painter and writer – Zurab Kalandadze lives abroad since 1994. The Dutch mention him as their (Dutch) art worker and are very attentive to him - publish his books, arrange exhibions and this year, on his 60-th jubilee organized a warm celebration. Things are otherwise in Georgia. His countrimen don't know much either about him or about other emigrant writers. This is an unfavourable factor for the literary studies as without taking into consideration works created by our emigrants, history of Georgian literature cannot be full and perfect. The ongoing symposium is a good opportunity to fill up the gap.

A collection of patriotic poems published after the 2008 August War in Russian and denouncing the aggression is a good testimony of Zurab Kalandadze's civic self perception. Among the poems created in the Netherlands and expressing the feelings of the people living abroad the most remarkable is "Flying Leaves", written in 2012. Emigrants of different countries were impressed by it so much that it was translated into five languages in a very short time. It may seem strange that the text was neither written nor translated into Georgian. I consider that the reason of this paradox is the abundance of emotion which makes it difficult to speak about our love to mothers. The poem was written together with a melody line. Therefore it was published with a score and designed with the author's own painting. One may have a feeling that the music and the painting are the ideograms of Georgian text, caressing Motherland, the author is missing, with melody, colours and forms instead of words: "Flying leaves, please, stay in my heart. There the sun is shining like it did once. Your song awakens me and for all eternity lets me go back to the motherland to be free". The poem with the accompanying musical and pictorial components is very expressive and is quite enough to make us feel the author's attitude towards his country and his identity.

მანია ნინიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ეროვნული იდენტობის ნარატივი ზურაბ კალანდაძის შემოქმედებაში

ქართველი ხელოვანი ზურაბ კალანდაძე 1994 წლიდან ცხოვრობს საზღვარგარეთ. ჰოლანდიელები მოიხსენიებენ მას თავიანთ მწერლად, ბექდავენ მის წიგნებს, აწყობენ გამოფენებს და დაბადებიდან 60 წლის თავზე გულთბილი იუბილევ გადაუხადეს. განსხვავებული ვითარებაა ჩვენთან. თანამემამულეები არც კი ვიცნობთ არც მის და არც სხვა ემიგრანტი მწერლების ნაღვანს, რაც მნიშვნელოვანი დანაკლისია არა მხოლოდ ქართველი მკიხველისთვის, არამედ ლიტერატურათმცოდნეობისთვისაც. უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა შემოქმედების გათვალისწინების გარეშე ლიტერატურის ისტორიის სურათი სრულყოფილი ვერ იქნება. მიმდინარე სიმპოზიუმში ამ დანაკლისის შევსების კარგი მცდელობაა.

ზურაბ კალანდაძის მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების გამომხატველია აგვისტოს ომის შემდეგ რუსულ ენაზე გამოქვეყნებუ-

ლი პატრიოტული ლექსების კრებული, სადაც პირდაპირ არის მხილებული მომხდარი აგრესია. უცხოეთში მცხოვრები ადამიანის განცდებზე დაწერილ მის თხზულებათაგან გამოირჩევა 2012 წელს შექმნილი “Flying Leaves”. ეს ლექსი ისე ღრმად განიცადეს სხვადასხვა ქვეყნების ემიგრანტებმა, რომ სულ მოკლე ხანში ხუთ ენაზე ითარგმნა. ნიშანდობლივია, რომ იგი არ დაწერილა და არც თარგმნილა ქართულად. ვფიქრობ, ამას იგივე მიზეზი აქვს, რის გამოც მშობელ დედას ვერ ველაპარაკებით მისდამი სიყვარულზე. ლექსი მელოდიასთან ერთად იქმნებოდა. იგი წიგნადაც პარტიტურის თანხლებით და ავტორისეული ფერწერული გაფორმებით გამოიცა. ვფიქრობ, აქ სწორედ მელოდია და მხატვრობაა ჰანგად, ფერად და ფორმად ქცეული ქართული ტექსტის იდეოგრამა, რომელიც სიტყვების ნაცვლად ეალერსება მონატრებულ სამშობლოს. წარმოგიდგენთ ბოლო ტაეპების პნკარედულ თრგმანს: „გაფრენილო ფოთლებო, გევედრებით, დარჩით ჩემს გულში. / იქ მზე ძველებურად ანათებს. თქვენი სიმღერა მაფხიზლებს და მაბრუნებს სამშობლოში მარადიული თავისუფლების განსაცდელად“. რა თქმა უნდა, პროზაული თარგმანი ლექსის თანმხლები მუსიკალური და ფერწერული კომპონენტების გარეშე ოდნავადაც ვერ ასახავს მისი გამომსახველობითი ზემოქმედების ძალას, მაგრამ მამულისადმი და საკუთარი იდენტობისადმი ავტორის დამოკიდებულების საილუსტრაციოდ, ვფიქრობ, რომ ეს პატარა ფრაგმენტიც კი მრავლისმთქმელია.

RUSUDAN NISHNIANIDZE

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

George Papashvily – American Writer and Sculptor of Georgian Origin

Papashvily's emigration coincided with the period when the Georgian Menshevik government was leaving Georgia in 1921. **George (Giorgi) Papashvily** is entered in such serious publications as **Who's Who in American Arts**, as well as **Who's Who in American Literature of the 20th century**.

He frequently exhibited at the Pennsylvania Academy of Fine Arts, Philadelphia Museum of Art, Reading Public Museum and Art Gallery, a number of Universities (Lehigh...), Woodmere Gallery. The William Penn Memorial Museum showed sixty of his works at a retrospective show in 1971.

Papashvily never left his initials on his works. Moreover, he believed – was even sure – that “the signature lies in the work of art itself”. The sculptor seems to have believed that the viewer must himself guess the identity of the author of the piece, rather than from the inscribed name. Reviews, articles, as well as studies were written on his works, and in general, exhibitions.

In Soviet space Papashvily belonged to “banned culture.” In parallel to this there also was the phrase: “unknown culture”. Although rarely, yet opportunities arose of familiarizing oneself with this culture.

The biography of one man in emigration turns into the “biography of all”: with the same sorrows, misunderstandings, expectation of help, lack of money, blaming one another, and even abuse ... Giorgi Papashvily’s case is absolutely different.

“**Anything can Happen**” – this was the title of a book by George and Helen Waite Papashvily, which was issued 15 times in the US from October 1944 to January 1948. “**An unprecedented event**” they wrote after 600, 000 copies of the book were sold. The fact was that the book turned into a **best-seller**. The work was translated into about fifteen languages and published in French, German and other European languages; into Japanese and Chinese (it is interesting to know what the print-run was in the latter enormous country); there exists a translation of the book, “including Urdu” we read in a paper by a foreign writer.

Papashvily’s legacy is a significant landmark in the history of **Georgian-American culture**.

Documentary film „**Beauty in Stone**” – **Dr. Arthur Stenius**

რუსუდან ნიჟნიანიძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული წარმომავლობის ამერიკელი მწერალი და მოქანდაკე — ჯორჯ (გიორგი) პაპაშვილი

გიორგი პაპაშვილმა საქართველო 1921 წელს დატოვა. მისი გვარ-სახელი შეტანილი იყო ისეთ სერიოზულ გამოცემებში, როგორებიცაა: **Who’s Who in American Arts** ასევე, **Who’s Who in American Literature of the 20 th century**.

ცნობილი გამოფენები: პენსილვანიის სახვითი ხელოვნების აკადემია, ფილადელფიის ხელოვნების მუზეუმი, რედინგის სახელმწიფო

მუზეუმში და ხელოვნების გალერეა, არაერთი უნივერსიტეტი (ლიჰაის...), ვუდმორის გალერეა. მოქანდაკის გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე (1971) უილიამ პენის მემორიალურმა მუზეუმმა რეტროსპექტულ ჩვენებაზე ჯორჯ პაპაშვილის 60 ნამუშევარი გაიტანა.

ნამუშევრებზე ინიციალებს არასოდეს ტოვებდა; თვლიდა, მეტიც, თურმე დარწმუნებული იყო, რომ „ხელმონერა თავად ხელოვნების ნიმუშშია“. როგორც ჩანს, მოქანდაკე მიიჩნევდა, რომ თავად ნამუშევრით უნდა მიმხვდარიყო მნახველი ავტორის ვინაობას და არა მხოლოდ მინერილი გვარ-სახელის მეშვეობით. მის ნამუშევრებთან თუ ზოგადად, გამოფენებთან დაკავშირებით ინერებოდა რეცენზიები, სტატიები, გამოკვლევებიც.

საბჭოთა სივრცის ერთი მიმართება — „აკრძალული კულტურა“. ამის პარალელურად იყო ისიც: „უცნობი კულტურა“. იშვიათად, მაგრამ მაინც ჩნდებოდა გაცნობის შესაძლებლობა.

ემიგრაციაში ერთი კაცის ბიოგრაფია „ყველას ბიოგრაფია“ ხდება: ერთნაირი ტკივილით, გაუგებრობებით, დახმარების მოლოდინით, უფულობით, ერთმანეთის დადანაშაულებით და ლანძღვითაც... გიორგი პაპაშვილის შემთხვევა კი სრულიად განსხვავებულია.

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების **რომანი ბესტსელერად აღიარეს (1945)**. ნაწარმოები არაერთ ენაზე ითარგმნა და შესაბამისად, გამოიცა კიდევც, დაახლოებით თხუთმეტი — ფრანგულ, გერმანულ და სხვა ევროპულ ენებზე; იაპონურ და ჩინურ ენაზეც; არსებობს თარგმანი ურდუსა და ტელუგუზეც.

უოლტ უიტმენი, მარკ ტვენი, ჯეკ ლონდონი, ჰენრი ჯეიმსი, ფრანსის სკოტ ფიცჯერალდი, უილიამ ფოლკნერი, ერნესტ ჰემინგუეი, იუჯინ ონილი... კიდევ რამდენიმე ათეული გვარი. ეს ამერიკის რჩეულთა ბიბლიოთეკაა. ამ ავტორებს (მათ ნაწარმოებებს) „ამერიკის ლიტერატურის რჩეულ ნაწარმოებთა სერია“-ში აქვთ საკუთარი, გამორჩეული ადგილი. მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ამ რანგში ჩამონათვალს კიდევ ერთი სახელი დაემატა — ჯორჯ პაპაშვილის სახელი. ეს 1950 წელს მოხდა!

ჯორჯ (გიორგი) პაპაშვილის ცხოვრების და ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა მნიშვნელოვანი და საინტერესო ფურცელია ქართული და ამერიკული კულტურის ისტორიაში.

ნაჩვენები იქნება **დოკუმენტური ფილმი** „მშვენიერება ქვაში“ — რეჟ. არტურ სტენიუსი.

LIA NOZADZE

Georgia, Kutaisi

Akaki Tsereteli State University

Variations on the Theme of Nostalgia: Milan Kundera

In 1980 Czech immigrant writer Milan Kundera, who moved to France after the ‘sovietization’ of Czechoslovakia, in his interview with Phillip Roth stated that “a man knows he is mortal, but he takes it for granted that his nation possesses a kind of eternal life”...

Having fled his homeland for France, Milan Kundera as a citizen of Czechoslovakia and a writer faced to major problems: being away from Prague like a tree torn out of the ground by its roots and Czech language he was unable to abandon despite his great respect for French language and culture. In emigration Kundera’s essays and most of his novels were written in his native language and only later did the writer translate them into French.

In the same interview Kundera emphasized that the most difficult problem he faced translating his works into French was the word ‘home’ in the sense of ‘hearth’ - French does not have a precise equivalent for this word while for the Czechs this word embodies national dignity.

Kundera’s concern with this seemingly minor lingual problem reveals deep pains of an immigrant writer. Many of his novels and especially the most recent one “Ignorance” (2000) are totally permeated by this pain.

Czech expatriate Irena, who has been living in France, decides to return to her home after twenty years. During the trip she meets, by chance, Josef, a fellow émigré who was briefly her lover in Prague. The novel examines the feelings instigated by the return to a homeland, which has ceased to be a home. In doing so, it reworks the Odyssean themes of homecoming.

Kundera explains that from the very beginning Bohemia, Poland, Hungary have taken part in the great adventure of Western civilization, with its Gothic, its Renaissance, its Reformation. Only the postwar annexation of Central Europe by Russian civilization caused Western culture to lose its vital center of gravity. The Czechs were deprived of their historical roots. “The radio force-feeds us music... regardless of whether we want to hear it, or whether we can grasp it, with the result that music becomes just noise, a noise among other noises “ - we read in the novel and it becomes obvious that sad story of Kundera’s characters is the painful odyssey of the writer himself.

ლია ნოზაძე

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვარიაციები ნოსტალგიის თემაზე (მილან კუნდერა)

1980 წელს ჩეხმა ემიგრანტმა მწერალმა მილან კუნდერამ, რომელიც ჩეხეთის „განთლების“ შემდეგ საფრანგეთში დასახლდა, ერთ-ერთ ინტერვიუში (ფილიპ როტთან) განაცხადა, რომ ჭეშმარიტი ადამიანი ეგუება აზრს საკუთარი მოკვდავობის შესახებ, მაგრამ იგი ვერასოდეს შეეგუება იმ აზრს, რომ შესაძლოა, მისი ქვეყანა მსოფლიო რუკიდან გაქრეს...

სამშობლოსთან განშორების პირველ წლებში მილან კუნდერა, როგორც ჩეხეთის მოქალაქე და როგორც მწერალი, ორი დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა: ეს იყო პრალა, ფესვები, რომელსაც მისი ხე მოგლიჯეს და ჩეხური ენა, რომელსაც მწერალი, ფრანგული ენისა და კულტურისადმი მოწინების მიუხედავად, ვერ შეეღია. ემიგრაციაში ყოფნისას ჩეხურ ენაზე დაინერა კუნდერას ესეები და რომანების უმრავლესობა, რომლებსაც მოგვიანებით მწერალი ფრანგულ ენაზე თარგმნიდა.

ამავე ინტერვიუში კუნდერამ ხაზი გაუსვა ნაწარმოებთა თარგმნისას წამოჭრილ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას — სიტყვას „შინ“ (კერიის მნიშვნელობით), რომლის ზუსტი თარგმანიც ფრანგულ ენაში არ არსებობს, ხოლო ჩეხებისათვის ეს სიტყვა, კუნდერას თქმით, მათი ნაციონალური ღირსების მატარებელია.

კუნდერას ნუხილში, თარგმნისას წარმოშობილი ერთი შეხედვით უმნიშვნელო გაუგებრობის შესახებ, უდიდესი ტკივილი გამოსჭვივის. ეს ტკივილი ემიგრანტობის პრობლემას უკავშირდება. ამ ტკივილით არის გაჯერებული მისი რომანების უმრავლესობა და განსაკუთრებით — ბოლო პერიოდში შექმნილი ნაწარმოები „შეუცნობელი“, რომელსაც ლაიტმოტივად გასდევს ოდისევსის ოცნლიანი მოგზაურობისა და ითაკაში დაბრუნების ტკივილიანი ისტორია. რომანის გმირები — ირენა და იოზეფი — ემიგრანტები არიან, რომლებმაც 20 წელი სამშობლოდან მონყვეტილებმა გაატარეს. ლოგიკურად, ისინი თავიანთ ქვეყანაში დაბრუნების სურვილით უნდა იწვოდნენ, მაგრამ, ისევე როგორც ოდისევსი, „შეუცნობელის“ გმირებიც აღმოაჩინენ, რომ ხიდი მათსა და სამშობლოს შორის ამ 20 წლის განმავლობაში ჩატეხილა. ისინი თავიანთ ტკივილს შეეჩვიენ და ფესვებთან დაბრუნებას უჭირთ.

კუნდერას განმარტებით, ჩეხეთი საუკუნეების მანძილზე დასავლეთ ევროპის ნაწილი იყო, ხოლო 1968 წლის რუსული ოკუპაციის შემდეგ იგი მოგლიჯეს თავის ისტორიას და მიაკუთვნეს აღმოსავლეთ ევროპას, რუსეთს, რომელსაც, დასავლეთისგან განსხვავებით, არ ჰქონია არც შუასაუკუნეები, არც აღორძინება და არც რეფორმაცია... ჩეხებისთვის არავის უკითხავს, ისტორია ისე წაართვეს. „რადიო ისე გვაძღობს მუსიკით, არც გვეკითხებიან, გვინდა თუ არა მისი მოსმენა. საბოლოოდ მუსიკა ხმაურად გადაიქცა“ — ვკითხულობთ რომანში და ნათელი ხდება, რომ კუნდერას გმირების სევდიანი ისტორია თავად მწერლის ცხოვრების ტკივილიანი ოდისეა.

TAMAR PAICHADZE

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Modernistic Migrations: from Motivation to Results

It is well known that being a migrant is one of the important reasons of psychological and mental metamorphosis of a person; "...the most intense era of the realization of freedom starts but along with that fades away the joy and naturalness that exists in native environment and one more thing starts: getting used to the new world – in the environment of loneliness and nostalgia" – Nikoloz Berdiaev wrote ("Freedom of Psychology"). Such a response of inner world to the challenges of strange environment is natural, is the most painful and additionally it clearly affects creative work as long as it is always reactive to the reality kept within its living space.

The given theory is important at several stages of the history of Georgian literature, although we believe that it "worked" as the determinant of methodological and ideological course mostly at literature life of the first 20 years of last century.

Primarily we mean the pseudo-literature space of the 1910's that was saved by modernist ideology: when social-revolutionary, saloon-flirting and craftsmen-"bayat" poetic environment was "replaced" by modernist philosophical meditation.

The exit of specific writers from the dead-end of the given "literature familiarity" was reasoned by Euro-Slavic periods so it is doubtful if the modernist history of Georgian literature would exist or not (at least in the form it exists) without Paolo Iashvili's Parisian period, Titsian Tabidze's and Valerian Gaprindashvili's Moscow era, Konstanine Gamsakhurdia's and Grigol Robakidze's Ger-

man period... In the works of each of these writers can be seen the phasing and difference in creative biography as the result of European lessons. Although the source of Georgian receptions of modernist histories was not just Georgian creative emigration; role of methodological indicator also came on intellectual immigration when group of Russian avant-gardists (mainly futurists) settled in Tbilisi after running away from the Bolshevik revolution of 1918. The given fact became next stage of work of specific creative group and also the subject of the new format literature dialogue.

თამარ პაიჭაძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოდერნისტული მიგრაციები: მოტივაციიდან შედეგისაკენ

ცნობილია, რომ მიგრანტობა ადამიანის ფსიქოლოგიური და სულიერი მეტამორფოზის ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია; „...ინყება თავისუფლების გაცნობიერების ყველაზე მძაფრი ხანა, ამასთანავე, ინაწვლება ის სიღალე და ბუნებრივობა, რაც მშობლიურ გარემოში არსებობს და კიდევ ერთი რამ ინყება: შეგუება ახალ სამყაროსთან-მარტოობისა და მონატრების სივრცეში“ — წერდა ნიკოლოზ ბერდიაევი („თავისუფლების ფსიქოლოგია“). შინასამყაროს ამგვარი პასუხი უცხო გარემოს გამოწვევებზე ბუნებრივია, ყველაზე მტკივნეულად და თანაც თვალნათლივ შემოქმედზე აისახება, რამდენადაც ის ყოველთვის რეაგირებადია იმ რეალობაზე, რომელიც მის ყოფით სივრცეშია მოქცეული.

ეს თეორია ქართული ლიტერატურის ისტორიის რამდენიმე ეტაპზეც აქტუალურია, თუმცა ვფიქრობთ, მეთოდოლოგიური და მსოფლმხედველობრივი გეზის განმსაზღვრელად მან ყველაზე ძლიერად გასული საუკუნის პირველი ოცნლეულის ლიტერატურულ ცხოვრებაზე „იმუშავა“.

უპირველესად, მხედველობაში გვაქვს ათიანი წლების ის ფსევდო-ლიტერატურული გარემო, რომელიც მოდერნისტულმა მსოფლმხედველობამ გადაარჩინა: როცა უტილიტარიზმითა და სუროგაციით მონამღული სოციალურ-რევოლუციური, სალონურ-ფლირტული და ხელოსნურ-ბაიათური პოეტური გარემო მოდერნისტულმა ფილოსოფიურმა მედიტაციამ „ჩაანაცვლა“.

„ლიტერატურული ფამილარიზმის“ ამ ჩიხიდან გამოსვლა კონკრეტული მწერლების ევრო-სლავიანურმა პერიოდებმა განაპირობეს, ამდენად საეჭვოა იარსებებდა თუ არა ქართული მწერლობის მოდერნისტული ისტორია (ცნობილი სახით მაინც) პაოლო იაშვილის პარიზული ეტაპის, ტიცინ ტაბიძის და ვალერიან გაფრინდაშვილის მოსკოვური ხანის, კონსტანტინე გამსახურდიას და გრიგოლ რობაქიძის გერმანული პერიოდის თვინიერ... თითოეული ამ მწერლის შემოქმედებაში საცნაურია ეტაპობრიობა და განსხვავება შემოქმედებით ბიოგრაფიაში, როგორც შედეგი ევროპული გაკვეთილებისა. თუმცა მოდერნისტული ისტორიების ქართული რეცეფციათა სათავე მხოლოდ ქართული შემოქმედებითი ემიგრაცია არ ყოფილა, მეთოდოლოგიური ინდიკატორის როლი ინტელექტუალურმა იმიგრაციამაც იტვირთა, როცა 1918 წელს ბოლშევიკურ რევოლუციას გამოქცეული რუს ავანგარდისტთა (ძირითადად ფუტურისტთა) ჯგუფი თბილისში დასახლდა. ეს ფაქტი კონკრეტული შემოქმედებითი ჯგუფის შემდგომი მუშაობის ეტაპადაც იქცა და ახალი ფორმატის ლიტერატურული დიალოგის საგნადაც.

NATALIA PETROVA

Russia, Perm

Perm State Humanitarian and Pedagogical University

Metonymical Components of Russia Image – Poetry of the First Emigration Wave

Poetry of Russian emigration (the first wave), that been devoted to image of Russian symbolical wholeness, formed it on metonymical principle – the whole was substituted by details, that have been gotten in its turn symbolical meaning. The image of lost motherland became idealistic and previous life look like paradise – childhood, home, family, friendship, love. The magisterial theme of exile from paradise to the hell of emigration existence converted signs of previous life in archetypes that restore the picture of world structure and find the “place of man in the world” (O. Mandelstam). The space was divided horizontally and vertically. Horizontal projection is anthropocentric; the main in it is a man who opposed “his” and “strange” accordingly his political, esthetic and ethic convictions. The characteristic images of horizontal space were real beaches of Neva or Seine: the gulf between was full of hell’s rivers. Another opposition deals with Nord and South: frost and snow became signs of Russia. Vertical projection is

mythological. It unites top and bottom, paradise and hell and may be represented by “The world tree”, realized in images of birches or mountain-ashes. Semantically synonymous of divided horizontal and vertical spaces makes the worlds of life and death, the paradise and the hell ambivalent and opposed it to time that can't be turned award. The mirror becomes the sign of it.

Н.А. ПЕТРОВА

Россия, Пермь,

Пермский государственный гуманитарно-педагогический университет

Метонимические составляющие образа России – поэзия первой волны эмиграции

Поэзия русской эмиграции первой волны декларировала приверженность к России как к символическому целому, но образ ее формировался по метонимическому принципу – целое замещалось деталями, которые, в свою очередь, приобретали символический характер. Образ утраченной родины идеализировался, прежняя жизнь превращалась в рай – детства, дома, семьи, дружбы, любви. Магистральная тема – «изгнание из рая» в «ад» эмиграционного существования – превращала приметы прежнего быта в архетипические образы, воссоздающие картину мирового устройства, структурирующие пространство и время и определяющие «место человека во вселенной» (О. Мандельштам). На «свое» и «чужое» пространство подразделялось по горизонтали и по вертикали. Горизонтальная проекция – «антропоцентрична», точкой отсчета остается человек, в силу своих политических, эстетических и моральных убеждений противопоставляющий «свое» «чужому». Характерные образы горизонтально рассеченного пространства – реальные берега Невы или Сены, провал между которыми заполняется водами Леты или Стикса, или оппозиция Севера и Юга, где знаками России становятся «холод» и «снег». Вертикальная проекция – мифологична, она соединяет верх и низ, ад и рай и может быть представлена «Мировым деревом», воплощенным в образах берез или рябин. Семантическая однозначность горизонтально и вертикально разделенных пространств в поэзии русского зарубежья приводит к тому, что миры жизни и смерти, рая и ада могут становиться обратимыми. Им противопоставляется необратимость времени, реализуемая образом зеркала.

IRINA PERIANOVA

Bulgaria, Sofia

University of National and World Economy

**Paradigms of Home
(Central European Writers and Canada)**

The proposed presentation is based on the materials in the two volumes published by CEAC (Central European Association of Canadian Studies) – the oral and written histories of immigrants to Canada from Bulgaria, Romania, Slovenia, Czech Republic, Slovakia and Hungary. The goal of the paper is two-fold. *Firstly*, I aim to analyse the writings of diaspora writers and their own narratives in the context of their migratory experience i.e. to investigate a transition to a new home in the maple leaf country or shuttling between homes, spaces and realities. I'll also focus on Memory, conflict, trauma and on what Pierre Bourdieu called habitus - changing or unchanged. *Secondly*, my goal will be to investigate certain generational differences between immigrant writers. As U. Beck notes boundaries are not set as they were previously, i.e. we are looking at the changing nature of the world and identity at a time when traditional models and explanations no longer work. Identities are fluid and liquid modernity requires new ways of narrating human experience as well as "boundary management." (Beck et al., 2003) There may be identified 3 different models: the old core – periphery model with different individual interpretations and the conversion of the emotional experience of dislocation; the two space bubbles model with impenetrable borders, and the transcultural model typical of present-day immigration with its alleged global habitus. In the latter case the new regimes of life may have produced the homogenized McWorld characterized by the collapse of space and time.

Note: (Beck et al 2003)- Beck U, Bonns, W and Lau, C "The Theory of of Reflexive Modernization: Problematic, Hypotheses and Research Programme", *Theory, Culture and Society*, 20(2), 1-34)

NINO POPIASHVILI

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Intellectual Migration and Identity

Each migration process is provoked by objective crisis. In some cases it is individual, - social, psychological or political crisis. Frequently, we face mass migration conditioned by wars or different disasters.

Research of migration primarily implies, on the one hand, to the study of the reasons causing migration and, on the other hand, revision of the life, fate and adventures of each individual, their intellectual heritage. Migration is closely linked with changes in private life, life style and environment. There exist challenges, home sickness, language barriers, lost contacts and relationships, complete alteration of cultural environment.

While reconstructing biographies of migrants, it becomes obvious that their life is divided into two separate parts: before and after migration. The latter being connected with wide adventure, where the ultimate goal may not be completely clear, even after settling down in a new environment the migrants do not experience the same feelings of “home”, “private” that they used to feel against the country which they have abandoned.

Migration in most cases implies to the necessity to escape totalitarian regime, which serves as a sort of cultural transfer. It is not an escape caused by the need to survive, but it can be envisaged as a chance to adapt better in new environment conditioned by better political and social-economic stability thus serving as a guarantee for fast-growing and fruitful intellectual realization.

Due to the above mentioned perspective, political and social-economical stability has a productive impact on the intellectual part of migrants. However, simultaneously, during intellectual migration the issue of identity and changes of identity become tangible.

Significance is given to the observation of the works which were created during migration. In our presentation we will deal with the works and biographical aspects of the following writers: Amin Maalouf, Arabic speaking, Lebanese-born French writer, Ioko Tavada, having Japanese origins and living in Germany, Russian-speaking writer, Mikheil Gogolashvili, having Georgian origins and living in Germany, Ketevan Gujabadze, Georgian writer living in Germany and some others.

წინმო პოპიაშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ინტელექტუალური მიგრაცია და იდენტობა

ყოველ მიგრაციას ობიექტური კრიზისი უდევს საფუძვლად. ზოგიერთ შემთხვევაში ეს არის ინდივიდუალური, — სოციალური, ფსიქოლოგიური, პოლიტიკური კრიზისები, ხშირად ვხვდებით მასობრივი მიგრაციის შემთხვევებს, რომელიც ომებით, სხვადასხვა კატასტროფით არის გამოწვეული.

მიგრაციის კვლევა უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ერთი მხრივ, იმ მიზეზების კვლევას, რამაც მიგრაცია გამოიწვია, ხოლო მეორე მხრივ, ინდივიდების ცხოვრების, ბედისა და თავგადასავლის კვლევას. ამასთან, მათი ინტელექტუალური მემკვიდრეობის შესწავლას. მიგრაციასთან დღემდე მჭიდროდ არის დაკავშირებული პირადი ცხოვრების, ცხოვრების წესის, გარემოს ცვლილებები, არსებობის სირთულეები, სამშობლოს მონატრება, ენობრივი პრობლემები, დაკარგული კავშირები და ურთიერთობები, კულტურის სრული ცვლილება.

მიგრანტების ბიოგრაფიების რეკონსტრუირებისას ნათლად ჩანს, რომ მიგრანტების ცხოვრება უმეტეს შემთხვევაში, ორ ნაწილად იყოფა: მიგრაციამდე და მიგრაციის შემდეგ. ეს უკანასკნელი უმეტესად დაკავშირებულია ვრცელ თავგადასავალთან, სადაც საბოლოო მიზანი შეიძლება არც არის ბოლომდე ნათელი, სადაც მიგრაციაში დამკვიდრების შემდეგაც შესაძლოა არ არსებობდეს „სახლის“, „საკუთარის“ შეგრძნება, შედარებით იმ შეგრძნებებთან და წარმოდგენებთან, რომლებსაც მიგრანტები მუდმივად გრძნობენ და განიცდიან უკვე დატოვებული ქვეყნის, მხარის მიმართ.

მიგრაცია უმეტეს შემთხვევაში თავის თავში გულისხმობს ტოტალიტარული გარემოდან გაქცევის იძულებას, რითაც გარკვეული კულტურული ტრანსფერი ხდება, რაც არ არის მხოლოდ სიცოცხლის გადარჩენით გამოწვეული გაქცევა, არამედ შესაძლოა განიხილებოდეს, როგორც გარკვეული შანსი ახალ გარემოში უკეთესი ხელშეწყობის, უკეთესი სოციალური და ეკონომიკური პირობების გამო, რითაც შესაძლებელია თავისებურად გარანტირებული იყოს მზარდი და ნაყოფიერი ინტელექტუალური რეალიზაცია.

სწორედ აღნიშნული პერსპექტივიდან გამომდინარე, პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური სტაბილურობა პროდუქტიულ ზეგავლენას ახდენს მიგრანტების ინტელექტუალურ ნაწილზე. თუმცა, იმავდროულად, ინტელექტუალური მიგრაციის დროს განსაკუთრებით ხელშესახებია იდენტობის, როგორც პრობლემის წინ წამოწევა, იდენტობის ცვლილებები.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა იმ მწერლების შემოქმედებაზე დაკვირვება, რომლებმაც მიგრაციაში შექმნეს საკუთარი ნაწარმოებები. მოხსენებაში შევეხებით საფრანგეთში მცხოვრები, წარმოშობით ლიბანელი, არაბულენოვანი მწერლის, ამინ მაალფის, წარმოშობით იაპონელი, გერმანიაში მცხოვრები მწერლის, იოკო თავადას, წარმოშობით ქართველი, გერმანიაში მცხოვრები რუსულენოვანი მწერლის, მიხეილ გიგოლაშვილის, წარმოშობით ქართველი, გერმანიაში მცხოვრები ავტორის, ქეთევან გუჯაბიძისა და სხვა მწერლების ბიოგრაფიულ ასპექტებს და ტექსტებს.

IRENE RABINOVICH

Israel, Holon

Holon Institute of Technology

Rebekah Hyneman’s Private and Religious Poetry A Portrait of the Artist as “The Mother and Wife in Israel”

Rebekah Hyneman was born in Pennsylvania in 1816 to Abraham Gumpertz, a Jewish-German storekeeper, and a Christian mother. *Hyneman converted to Judaism* in 1845, and shortly after her conversion her poetry began to appear regularly in the press.

In 1853 Rebekah Hyneman published a collection of more than eighty poems, entitled *The Leper and Other Poems*. She also contributed secular poetry, short stories, novellas and serial novels to *The Masonic Mirror and Keystone*.

In spite of Hyneman’s important literary contributions to both the Jewish and general readership, her work has almost been totally neglected in the last one hundred and fifty years.

As far as I know, no other significant critical study has as yet been dedicated to Hyneman’s extensive and truly remarkable literary production, which sheds light on an important era in the history of the American nation and that of its Jews.

Most of Hyneman's poems deal with Jewish topics such as Jewish holidays, biblical heroes and heroines, hymns, etc. Some of the poems in the collection are of a more personal nature, in which the poetess mourns her deceased husband.

In addition to presenting personal contemplations on various topics, Hyneman's poetry has much broader political and social agendas, namely bridging the gap between Jews and Gentiles. In her poetry Hyneman strongly advocated the Jews' return to the land of Israel.

Jerusalem was a city she dreamed about, whereas America was her adoptive land, the land that filled her with hopes about peaceful coexistence between Jews and Christians. It was also the sole land where Jews could fearlessly practice the customs of their ancient tradition. Hyneman felt that the Gentiles' lack of knowledge of Jewish traditions leads to estrangement between Jews and non-Jews.

IRMA RATIANI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

“*Weltliteratur*” and Émigré Writers

